საქართველოს

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.


# რესპუბლიკა


მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 37 კვირა, 8 ენკენისთვე 1918 წ. № 37


ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

---

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძმენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მასწავლებლობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—11

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი

---

## ქ. ტფილისის
## სახელმწიფო, საზოგადო და სავაჭ.-სამრეწ. დაწესებულებებს

თანახმად სავალდებულო დადგენილებისა ქალაქ ტფილისის საბჭოსი, სანიტარო-ეპიდემიურ თანხის შესადგენათ, ყველა ის პირნი, რომლებიც მსახურობენ საზოგადო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში და იღებენ ჯამაგირს, იხდიან სექტ. მბრის შემოსავლიდან 2 პროც. (მე-7 მუხლი სავალ. დადგ.).

მე-10 მუხლი ამავე დადგენილებისა ავალებს ზემოხსენებულ დაწესებულებათა გამგეებს და მმართველთა, თუ ამათში მოსამსახურე პირთა საერთო რიცხვი ოც-ზე ნაკლები არ არის, შეკრიბონ ეს ფული; ამისა გამო სანიტარო-ეპიდემიური თანხის შესადგენათ შემდგარი კომისია ამით მიმართავს თხოვნით ვისაც ჯერ არ შეუსრულებიათ ზემოთ ხსენებული დადგენილება და შეგროვილი ფული დაუყონებლივ წარმოადგინონ ტფილისის თვითმმართველობის ხარჯის ამკრეფ განყოფილებაში საერთო სიით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს რა ერგებათ სექტემბრის განმავლობაში და რა გადახდა ყოველ მათგანს და ფულთან ერთად ეს სიები წარუდგინონ დანიშნულებისამებრ. ამასთანავე კომისია განმარტავს, რომ 2 პროც. სანიტარო-ეპიდემიური გადასახადი უნდა გადიხადონ სექტემბერში მისაღებ ჯამაგირიდან გინდა იგი ჯამაგირი იყოს ივლისის ანუ აგვისტოს თვეებისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

393 3—1 კომისია სანიტარო-ეპიდემიურ თანხის შესადგენათ.

---

## სავალდებულო დადგენილება

ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული 28 აგვისტოს 1918 წ.

1) ქალაქის მცხოვრებთ შეუძლიანთ იქონიონ ბინის თვითეულ ოთახში მხოლოდ ერთი ელექტრონის ლამფა არა უმეტეს 25 სანთლის ძალისა.

2) აკრძალულია სარგებლობა ელექტრონით ბინაზედ, მაღაზიებში, სასტუმროებში, სადალაქოებში, რესტორანებში და აგრეთვე სხვა და სხვა ამგვარ დაწესებულებებში სხვა რაიმე მიზნისათვის გარდა განათებისა.

3) მაღაზიებში, რესტორანებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში ნებადართულია განათება თვითეულ კვადრატიულ საჟენზე არა უმეტეს 4 სანთლის ძალისა.

4) აუდიტორიაში, სამკითხველოში, წიგნთ საცავებში, სასწავლებლებში ნებადართულია განათება 6 სანთლის ძალისა ერთ კვადრატიულ საჟენზედ.

5) აკრძალულია განათება გამოსაფენ ალაგებისა, რეკლამებისა და აგრეთვე ყოველივე შუქის ეფექტები (გარდა თეატრის სცენებისა).

6. ბაღებში შეიძლება იქონიონ თითო სანთლის ძალა ერთ კვადრატიულ საჟ.

7. ზემოთ ნაჩვენებ ნორმების გარეშე დარჩენილი წერტილები უნდა დაიბეჭდოს ლაქით ქალაქის ზედამხედველებისაგან, რომლებიც იქნებიან აღჭურვილნი ქალაქის თვითმმართველობისაგან შესაფერ მოწმობებით. ბინის გასანათებლათ დასარჩენ ნორმების განსაზღვრა ევალება უბნის ელექტროტეხნიკებს, რომლებიც აგრეთვე აღჭურვილი იქნებიან შესაფერ მოწმობებით; ამათვე ეძლევათ უფლება კონტროლისა და მორიგე მომქმედთათვის შუქის მოსპობისა.

8. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით და მოესპობათ სინათლე.

3418 3—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

---

## საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეებს

16 მკათათვის დადგენილების თანახმად არსდება საქართველოს რესპუბლიკის

## წითელი ჯვრის საზოგადოება,

რომლის დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, 8 სექტემბერს, დილის 12 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში. დღის წესრიგი: 1. ექიმი მ. ზანდუკელის მოხსენება. 2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება. 3. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. კრებაზე დასწრება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომს, ხოლო გადამწყვეტი ხმა მიეცემა, ვინც შეიტანს საზოგადოების მოლარესთან წლიურ გადასახადს, რომლის მიღებაც დავალებული აქვს ხუციშვილს. 2-2

---

## ქართული სამუსიკო საზოგადოების სკოლა

(უფილიალ სავილაორმონი)

სოლოლაკის ქ., № 4.

მოწაფეთა მიღება დაიწყება 10 სექტემბრიდან 10—2 საათამდე, მეცადინეობა 20 სექტემბერს. მასწავლებლად მოწვეულნი არიან როიალის კლასში ქქ-ნნი თავის. ხელოვანი, ე. დ. ბელაშვილი, ო. მ. ბერგი, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. ი. პოლტორაცკი-მადატოვისა, თავ.-ხელოვ. ე. გ. ქიქოძე, თავ.-ხელოვ. ე. ვ. ფოგელი, თავ.-ხელოვ. რ. ე. ხოსროევისა.

ვიოლინის (სკრიპკა) კლასში: ან. ნ. ყარაშვილი, თავ. ხელოვ., ფ. ს. კაც. (პრ. აუერის კლასისა). ვიოლონჩელის კლასში—თავ. ხელოვ. ილ. აბაშიძე. სიმღერა-გალობის (solo) კლასში: ქ. ქ. გ. ი. კითოროვისა, ა. ი. ჯაყელი და მომღერალი სახელმწიფო თეატრისა ბ-ნი პოლიაევი. თეორიის კლასში თავის. ხელოვ. დ. ი. არაყიშვილი, აგრეთვე სწარმოებს მოლაპარაკება ტფილისში მყოფ თვალსაჩინო პროფესორებთან. სწავლის ფასი სამუსიკო საკრავებზე 150 მ. წლიურად, სიმღერა-გალობის კლასში 200 მ. თეორიის კლასში 75 მან.

398 4—1

---

## პედაგოგიური საბჭო
## ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ ამიერიდან მას ეწოდება

## ტფილისის წმ. ნინოს გიმნაზია.

დაწყებული საანბანო კლასიდან ვიდრე მეოთხე კლასამდე სწავლა ყველა საგნების იქნება ქართულ ენაზე, რუსული ენა ამ კლასებში იქნება სავალდებულო, როგორც საგანი. დანარჩენ კლასებში, ხუთიდან მერვემდე სწავლა იქნება ჩვეულებრივად რუსულად. პარალელურ კლასებში დაწყებული უმცროს მოსამზადებელი კლასიდან მერვემდე ყველა საგნების სწავლა იწარმოებს რუსულ ენაზე, მხოლოდ სახელმწიფო ქართული ენა იქნება ამ კლასებში სავალდებულო, როგორც საგანი. გამოცდები გადასაყვანათ კლასებში და მისაღები გამოცდები დაიწყება 16 ენკენისთვიდან 9 საათზედ. თხოვნები მიიღება ყველა კლასებში.

---

ამ დღეებში ქართულსა და რუსულ ენაზე გამოვა.

## ორკვირეული საფინანსო და საეკონომიო ჟურნალი.

## საქართველოს ეკონომისტი.

დ. თოფურიძის რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ შემდეგი პირები:

ი. ანდრონიკაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, არსენიძე, ა. ასათიანი, ბერგი, პ. გელეიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ელიავა, ი. ვარაზაშვილი, ვ. ვოიტინსკი, დ. თოფურიძე, კ. კანდელაკი, ე. კოზლოვსკი, ი. ლორთქიფანიძე, გ. მამრაძე, ტ. მარგველაშვილი, პ. საყვარელიძე, ი. ფალავა, ი. შარაშიძე, შრამჩენკო.

რედაქციის მისამართი: ვერის დაღმართი სახლი № 5, ბინა № 5.

№ 698. 2—1.

---

## კახელ მევენახეთა საზოგადოება
## „კახეთი“.

გამგეობა აცხადებს, რომ საგანგებო კრება, რომელიც 31 აგვისტოს არ შედგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობით, მეორე კრება დანიშნულია ქ. თელავში, 20 ენკენისთვეს (ახალი დროით) საღამოს 7 საათზე. ეს კრება წესდების მე-40 მ. თანახმად კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრების საგანია: 1. საზოგადოების ახალი წესდება. 2. დამფასებელი კომისიის ინსტრუქცია. 3. მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირები. 4. ბინის საკითხი. 5. დამატებითი აღრიცხვა. 6. გამგეობის წევრების ორი კანდიდატის არჩევა და 7. მიმდინარე საკითხები. № 693 2-1

---

## განცხადება.

ტფილისის
მეორე კომერციული სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 16 სექტემბრიდან.

---

## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა.

5 სექტემბერი, 1918 წ.

№ 236.

განთავისუფლებულ იქმნა: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სპეკულიაციის, მძარცველობის და კონტრ-რევოლიუციის წინაალმდეგ მებრძოლ განსაკუთრებული რაზმის უფროსის მოვალეობათა აღმასრულებელი მელქისედეკ მიხეილის ძე კედია, ერთი კვირით, ჯამაგირის მიცემით.

დაევალა: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სპეკულიაციის, მძარცველობის და კონტრ-რევოლიუციის წინაღმდეგ მებრძოლ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის მოვალეობათ აღსრულება იმავე რაზმის უფროსის თანაშემწეს პლატონ ზურაბის ძე ფაჩულიას, კედიას დროებით დათხოვნის ვადის გათავებამდე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალ. აღმ. გ. მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 237.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის გუბერნიის საზეითლო ინსპექტორის თანაშემწე გალაქტიონ ყარამანის ძე მასხარაშვილი და ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნილი ზეითალი ლუკა ივანეს ძე ჩხენკელი—პირველი მათგანი ქუთაისის გუბერნიის საზეითლო ინსპექტორად, მეორე კი ქუთაისის გუბერნიის საზეითლო ინსპექტორის თანაშემწეთ, ორივენი ამა წლის 15 აგვისტოდან.

განთავისუფლებულ იქმნენ: ორი თვით, ჯამიგირის მიცემით, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ახალშენ ეკატერინენფელდის ზეითალი ალექსანდრე ივანეს ძე ზრატაშევსკი და ქ. ტფილისის ზეითალი ვასილ ვლადიმირის ძე გრომოვი, თანახმად მათის თხოვნისა, საოჯახო მიზეზის გამო რუსეთში წასასვლელად, ორივენი ამა წლის 1 ენკენისთვიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალ. ალმ. გ. მახარაძე.

---

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრისა.

5 სექტემბერი, 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 40.

დანიშნულ იქმნენ: 1. ტფილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ნოე კონსტანტინეს ძე ცინცაძე ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

2. ევგენი ალექსანდრეს ძე ჰოლოშვილი ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

3. ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ გრიგოლის ძე ჭკონიაშვილი იმავე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

4. ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ილია ალექსის ძე ჯიშკარიანი ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

5. გორის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

6. ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირიქტორი ვასილ ანტონის ძე ჩალენკოვი ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის შტატის მასწავლებლად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

7. ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიის დირექტორი იაროსლავი იოსების ძე სვატოში იმავე გიმნაზიის შტატის მასწავლებლად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

8. ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბოგოიავლენსკი ამავე გიმნაზიის შტატის მასწავლებლად მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან.

განათლების მინისტრი: გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 8 ენკენისთვე.

როგორც კერძო პიროვნების არსებაში, ისე ცოტათ თუ ბევრათ კულტუროსან ერის ბუნებაში სცემს ძლიერი ინსტიქტი ცხოვრებისა და განვითარებისა.

შესაძლებელია ერის ფიზიკურათ მოსპობა, მისი დედამიწის პირიდან აღგვა, მაგრამ სანამ ერი არსებობს, ის ყოველთვის ცდილობს თავი დააღწიოს გაჭირვებას, სძლიოს მისი სიცოცხლის და განვითარების ხელის შემშლელი პირობები და ისეთ ჩარჩოებში ჩამოასხას თავისი პოლიტიკური ვითარება, რომ წინსვლას, დაწინაურებას ააღვილებდეს და არა აძნელებდეს.

საქართველოს დემოკრატიამ ოცდაექვსი მაისის ისტორიული აქტით ეს ბუნებრივი მისწრაფება გამოსახა, საქვეყნოთ აღიარა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობის განმტკიცებას შეუდგა.

ახლად შობილ სახელმწიფოს მეტათ მძიმე მუშაობის გაწევა უხდება. შინ და გარეთ ისეთი პირობების დაძლევა ევალება და ისე გადაკვანძულია ერთმანეთზე ორივე ეს ფრონტი, რომ საშინაო სისუსტე საერთაშორისო მდგომარეობას ართულებს, საერთაშორისო სფეროში დამარცხება საშინაო მდგომარეობას, რესპუბლიკის მომავალს წარმოუდგენელ საფრთხეს უმზადებს.

მთავრობას, რომელსაც დემოკრატიამ პოლიტიკური მესაჭეობა ჩააბარა, ისეთ მოწამლულ წრეში უხდებოდა მოღვაწეობა, რომ ამ წრის გაწმენდა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ბევრი რამ იყო დასაძლევი, გასაკეთებელი და მოსაწყობი. სამი თვეა რაც ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სამი თვეა რაც მოშხამულ ჰაერის გასუფთავებას ვცდილობთ და შეგვიძლია ვიკითხოთ გაკეთდა რამე, ემჩნევა ჩვენ შინაურ ყოფას რაიმე ცვლილება და წარმატება? ყველა ამ კითხვებზე დადებითათ შეიძლება პასუხის გაცემა.

მართალია, მიზანს სავსებით ჯერ ვერ მივაღწიეთ, მოზვავებული ნიაღვარი სავსებით კალაპოტში არ ჩავარდნილა, წესიერება სრულათ არ დამყარებულა, გრძნობა მოქალაქეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებისა არ გამტკიცებულა, მაგრამ ერთგვარი გაჯანსაღება შინაური ცხოვრებისა აუცილებელი ფაქტია.

ჯანყი, რომელიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში დიდი სიძლიერით ვითარდებოდა, საგრძნობლათ არყევდა ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას და დადებითი მუშაობის წარმოებას გვიძნელებდა, ამ ბოლო ხანს თითქმის მიჰქრა, მინელდა. ერთგვარი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, თითქმის ყველა კუთხის გლეხობამ შეიგნო უაზრობა და მავნებლობა ანარქიული გამოსვლებისა და მთავრობას დახმარებას და თანაგრძნობას ჰპირდება.

მართალია სამეგრელოს შავი ძალები ჯერ კიდევ ღელავენ, ურჩობენ, მაგრამ ეს არის უკანასკნელი სიმაგრე. ეჭვი არაა დღეს თუ ხვალ მთავრობის მიერ იქ გაგზავნილი ჯარი დაამარცხებსა ჯანყებულთ. გასწმენდს იქაურობას, ხალხს იარაღს ჰყრის და ეს უკანასკნელი კუთხეც ჰპოვებს სიმშვიდეს და მყუდროებას. შეიძლება ითქვას, რომ შავი ბურუსი იფანტება და მთავრობის ცდა ჯანყის ჩაქრობისკენ მიმართული მიზანს აღწევს.

ერობა, რომლის შემოღება ძნელდებოდა, დღეს თითქმის ყოველგან თან და თან ეწყობა. ზოგ კუთხეებში საერობო არჩევნები კიდეც დასრულდა და საერობო მუშაობა ჩაღდება. ადგილობრივი თვითმმართველობა გადაიქცევა იმ უკანასკნელ ძალათ, რომლის შემწეობით შინაური ცხოვრების მოწესრიგება კეთილად დამთავრდება.

უეჭველათ ვაჩნევთ, რომ აღმშენობითი ნაკადი, რომელიც ინთქებოდა აზვირთებულ ტალღათა მორევში, დღეს ძლიერდება. როგორც სამინისტრო იტყობინება, ჩამორთმეული მიწების მიღება მთავრდება და მუშავდება კანონი, რომლით ძალით ჩამორთმეული მიწები კერძო საკუთრებათ გლეხობას გადაეცემა ყველგან, ყველა სფეროში ვეწყობით ვერკვევით და ეს გარანტიაა, რომ მომაგრებული შინ, საერთაშორისო ნიადაგზედაც გავმაგრდებით.

---

## საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

გერმანიის დელეგაციის საიმფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ პროფ. ცუგმაიერმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ბაქოს მთავრობასთან განზრახულ მოლაპარაკების შესახებ შემდეგი განუცხადა:

ბაქოს ვითარება

გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი კავკასიაში იმ დელეგაციებში, რომელნიც ტფილისიდან და ადერბეიჯანიდან მიემგზავრებიან ბაქოში, მონაწილეობას არ მიიღებს; საზოგადოთ ამ მოლაპარაკებაში არ გვინდა მივიღოთ მონაწილეობა, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე ბაქოში. ბოლშევიკების მთავრობა იქ აღარ არსებობს, მაშასადამე არ ვიცით ვის უნდა დავუწყოთ მოლაპარაკება, ინგლისელებს, სომხებს თუ კიდევ სხვა ვისმეს.

ის გარემოება, რომ ბაქოს მცხოვრებნი სცდილობენ ადერბეიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკასთან მშვიდობიანათ მოაწყონ საქმე და საერთოდ დაამყარონ ერთგვარი შეთანხმებული მოქმედება, ცხადათ ამტკიცებს მას, რომ ინგლისელების გავლენას ბაქოში ადგილი აღარ აქვს და ინგისელების დახმარების იმედი ბაქოს მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც სიხარულით ელოდა ინგლისის ჯარის კავკასიაში შემოსვლას, დღეს საბოლოოდ დაჰკარგვია. ინგლისელები თვით არიან დიდ საფრთხეში ჩავარდნილი, რადგანაც სპარსეთის აჯანყებას შეუძლია შეუკრას მას გზა უკან დასახევად.

ყოველ შეითხვევაში, თუ კი გარემოებამ მაინც მოითხოვა, რომ გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმაც მონაწილეობა მიიღოს ბაქოსთან მოლაპარაკებაში, მაშინ ჩვენ აუცილებლობას ვსვამთ, რომ ბაქოდან დაუყონებლივ ბელ პიგანიდევნონ ინგლისელები.

ადგილობრივი გერმანული გაზეთი „Kaukasisihc Post“.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა პროფ. ცუგმაიერს, რათა მას გამოეთქა თავის აზრი იმ წერილის შესახებ, რომელიც „Kaukasisilıc Post“-მა მოათავსა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ მიწის დეკრეტის წინააღმდეგ.

პროფ. ცუგმაიერმა განაცხადა, რომ ეს წერილი ჯერ მას არ წაუკითხავს და ამიტომ ვერაფერს იტყვის დასახელებულ წერილის პრინციპიალურ მხარის შესახებ.

მხოლოდ წერილს არ აქვს, რასაკვირველია, ოფიციალური ხასიათი, რადგანაც თვით გაზეთი გერმანიის მთავრობის ოფიციალური ორგანო არ არის.

აქვე უნდა გითხრათ, დაუმატა პროფესორმა, რომ დღეს მომივიდა ცნობა გერმანიის შტაბიდან, რომ ადგილობრივ გერმანულ გაზეთ „Kaukasisihc Post“-ში ამიერიდან სამხედრო განყოფილებას განაგებს გერმანიის შტაბის ოფიცერი და ამიტომ ეს განყოფილება ოფიციალური ხასიათისა იქნება.

---

## მეტი ყურადღება!

ჩვენს ხელოვნებს საზოგადოების მხრით სიცოცხლეში ყოველთვის ნაკლებად ექცეოდათ ყურადღება.

მათი ნაწარმოებით და ნამოქმედარით სტკბებიან, ალტაცებაში მოდიან, თავს იწონებენ სხვების წინაშე—აი გვნახეთ რა შეუძლია ჩვენი ერის სულიერ ძალასა და ნიჭსო.

მათ ყველგან გულმხურვალედ, ტაშით და ზეიმით ხვდებიან, ია-ვარდსა და თანაგრძნობას არ აკლებენ. მაგრამ ძალიან იშვიათად, თითქმის არავინ არ კითხულობს მათ პირად მდგომარეობას და ნივთიერ ყოფა-ცხოვრებას.

ეს დიდი, უმადური და მავნებელი უკუღმართობაა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. ჩვენს საუკეთესო მწერლებს, ხელოვნებს, მოღვაწეებს ხშირათ ლუკმა პური ენატრებოდათ და სიღარიბესა და ხელმოკლეობაში ლევდენ სულს.

ჩვენში არ იყო ისეთი წრე, ისეთი საზოგადოება, რომელსაც შეძლება და საშუალება ქონებოდა მათთვის ღირსეული, დამაკმაყოფილებელი და მასთან არა დამამცირებელი შემწეობა აღმოეჩინათ. მეცენატობა ჩვენში ვერ დაიტრაბახებს სიმდიდრით და ყურმახვილობით ხელოვნების ნიჭიერ, მაგრამ ღარიბ მოღვაწეთა მწარე ბედისადმი.

სახელოვნო ნაწარმოებს ფართო ბაზარი არ ჰქონდა საზოგადოებაში, რომ თავის შრომით შესაძლებელი ყოფილიყო უბრალო ადამიანური არსებობა და საყვარელი საქმის სამსახური. სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოკლებულ ხალხს აბა რა იმედი ექნებოდა ფართო სახელმწიფოებრივი დახმარების!

საზოგადოების კოლექტიური ყურადღება კი სთვლემდა. და ისინი, ვინც აღვიძებდენ უდიდეს და უკეთილშობილეს გრძნობებს ჩვენში, ვინც აფაქიზებდა ხალხის მოთხოვნილებას და მის გულში „ჰქმინდა მუსიკას“, სულ ხშირათ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდენ და დამამცირებელ პირობებში იბრძოდენ ლუკმა პურისთვის.

ეს არის მწარე ისტორიული სინამდვილე, რომელსაც ხელს ვერ დავაფარებთ. ამ წერილში არც მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზების გამოკვლევას შეუდგებით.

ახლა მხოლოდ ვიკითხავთ: შეიცვალა დღეს ამ მხრით მდგომარეობა თუ არა?

მართალია ღრმა და დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სრულიად შეცვლილ საერთაშორისო და შინაურ პირობებში შეუდგა დემოკრატიული ცხოვრების მოწყობას.

მაგრამ ეს გარემოება ასე უცბათ ვერ გარდაჰქმნიდა ჩვენს ვითარებას იმგვარათ, რომ ხელოვნების და მისი წარმომადგენლების მდგომარეობა რადიკალურათ შეცვლილიყო.

ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შეიძლება მიღებულია ზომები, განზრახულია კარგი გეგმა, კარგი პლანები, მაგრამ ამის ნაყოფს უნდა ველოდეთ მხოლოდ შემდეგში. ახლა კი ხელოვნება და მისი განვითარების პირობები თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო. ხელოვანთა მდგომარეობა სიძვირის და დღევანდელი მოუწყობლობის გამო გაცილებით უფრო თვალცრემლიანი და გაჭირვებულია, ვინემ ოდესმე.

ამის საილიუსტრაციოთ შეგვიძლია მოვიყვანოთ ცოცხალი მაგალითები ჩვენი ნიჭიერი მხატვრის მოსე თოიძის ცხოვრებიდან.

მან ველარ აიტანა გაჭირვებული მდგომარეობა ქალაქში და დაავადმყოფებულმა სოფელს მიაშურა, რათა უფრო ადვილათ გამკლავდებოდა სიმშილს და შევიწროებას.

როგორც ირკვევა, დიდის ვაი-ვაგლახით და უბედურებით დასძლია მან სოფლელთა კონსერვატიული ფსიხოლოგია და რამდენიმეთ გაუღვიძა მათ ცოტაოდენი ინტერესი მხატვრობისადმი, და თვით მხატვრობის გაჭირვებულ მდგომარეობისადმი.

ის დღეს სოფ. ახალქალაქში და მის მიდამოებში ხატავს სოფლელებს, მათი ცხოვრების სხვა და სხვა მხარეებს და მოვლენებს. და თითო სურათში ძლივ-ძლივობით ორ-სამ პურს, აგრეთვე აძლევენ მაწონს და სხ. ასეთ სურათს.

ამნაირად ირჩენს თავს დღეს მოსე თოიძე, რომელიც საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული მხატვარია ჩვენში და რომელსაც ცხრა სულიანი ოჯახი აწევს თავზე. კარგად შეგიძლიათ წამოიდგინოთ ასეთ პირობებში მხატვრის მატერიალური მდგომარეობა ® სულიერი განწყობილება.

შეიძლება სხვა მხატვრები და ხელოვნები პურსა და მაწონზე პირდაპირ არ სცვლიან, ისიც თითქოს სამოწყალოდ, თავიანთ ნაწარმოებთ მაგრამ ისინიც არ არიან უკეთეს პირობებში, მათაც საშინლათ უჭირსთ და აღარ შეუძლიათ აუტანელი ხელმოკლეობის გამო ხელოვნებას, კულტურას და ხალხს ემსახურონ.

საჭიროა მათ მეტი ყურადღება მიექცეს, ვინემ ეს დღემდე იყო. ეს ჩვენი მოვალეობაა. ხელოვნების საზოგადოებებმა და კომისიებმა ზომები უნდა მიიღონ...

---

## პრესის მიმოხილვა.

„ბორბა“ ეხება იმ მონარქისტულ მოძრაობას, რომელიც დღითი დღე იზრდება რუსეთში.

„არ არის არც ერთი კუთხე რუსეთში, სადაც არ იმალებოდეს რესტავრაციის საშინელება. რუსეთის ხალხი იმდენად მოიქანცა მომხდარ ცვლილებების გამო, რომ დიდი ნაწილი მზადაა თავი მოიხაროს იმ ავანტიურისტის წინაშე, რომელიც გვირგვინს გაუწვდის ხელს.

რუსეთის დემოკრატიას ჰმართებს დიდი სიფხიზლე და ძალთა გაერთიანება, რომ თავიდან აიცდინოს მოახლოვებული საშიშროება“.

რა თქმა უნდა, რომ მეტი სიფხიზლე და ძალთა გაერთიანება ადვილად ააცდენდა რუსეთის დემოკრატიას რესტავრაციის საშინელებას, მაგრამ, საუბედუროდ, მას სწორედ ეს სიფხიზლე და გაერთიანება აკლია, რაც ჩვენ ეჭვებს გვიძრავს და გვაფიქრებინებს, რომ ეს საშინელება შესაძლოა რუსეთს მოევლინოს. მით უმეტეს, რომ როგორც „ბორბა“ სწერს „ამ მოძრაობას ორი დასაყრდნობელი პუნქტი აქვს საზღვარ გარედ: ლონდონსა და ტოკიოში, სადაც რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე გაეშურა რუსეთიდან თავადაზნაურობა“.

* * *

ტფილისის ესერები ორჭოფულ პოლიტიკას აწარმოებენ. ერთის მხრით ვითომ მთავრობას ეხმარებიან, მეორე მხრით ხშირათ უმართებულოთ მთავრობას აკრიტიკებენ. ესერების გაზეთი „შრომა“, რომელსაც ბანს აძლევს „ტრუდოვოე ზნამია“ სწერს:

„საქართველოს მიერ გერმანიასთან დადებული ხელშეკრულობა საბედისწერო გახდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის. გვიკვირს, ამბობს „შრომა“ რატომ აგვიანებს და არ აქვეყნებს მთავრობა გერმანიასთან დადებულ ხელშეკრულობას. საქართველოს ხალხმა უნდა იცოდეს ის პირობები, რომელშიაც მას მოუხდება ცხოვრება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო ახალციხიდან, რომ ოსმალოები იტაცებენ სახელმწიფო ქონებას, რომელიც ეკუთვნის ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი სთხოვს მინისტრს დახმარებას.

○ გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა გვარჯალაძემ შუამდგომლობა აღძრა საქართველოში ოტომანიის მთავრობის წარმომადგენლის აბდულ-ყირიმფაშას წინაშე, რათა ნება მიეცეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ლტოლვილებს, რომლებიც ეხლა ბაკურიანის ახლო ხეობაში იმყოფებიან, დაბრუნდნენ თავის ბინაზე, სიცივეების დაწყების გამო.

○ გ. ფიცხელაურს დაეკისრა დროებით საქართველოს ყველა რკინის გზების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა 7 აგვისტოდან ამა წლისა.

○ გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო განყოფილების დადგენილებით, დაიწყო სამგზავრო ბილეთების დამხადება. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის სადგურების ბილეთები დაბეჭდილია ქართულად, ხოლო პირდაპირი მიმოსვლის ბილეთები რუსულ და ქართულ ენაზე.

## საზოგადოებანი და კრებები

○ საქართველოს მოხელეთა კავშირის საბჭო სთხოვს ყველა თავის წევრებს აუცილებლად დაესწრონ საბჭოს სხდომას სამშაბათს 10 ამ თვეს.

○ თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 16 მკათათვის გადაწყვეტილებისა მთელი ქონება და დაწესებულებები რუსეთის საზოგადოების წითელ ჯვრისა უნდა გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკას. ამასთანავე არსდება ქართული წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელი კრება დღეს 12 საათზეა დანიშნული ქალაქის საბჭოს დარბაზში.

## რკინის გზაზე.

○ შტატ გარეშე დარჩენილ რკ. გზ. მოსამსახურეთა საქმეთა განსახილველად დაარსებულმა კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა. კომისიაში მონაწილეობენ ეროვნულ საბჭოს წევრნი არ. ჯაჯანაშვილი ა. ჭიაბრიშვილი, ვ. ბარბაქაძე, ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე დიდიძე და სხვანი.

## სახალხო განათლება.

○ საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსების ხელმძღვანელი კომისიის წევრებისა და ამავე კურსების ლექტორთა ენკენისთვის ექვს მომხდარ შეერთებული კრების დადგენილების თ ა ნ ა ხ მ ა დ სამშაბათს, ენკენისთვის 10-ს საღამოს 6 საათზე (ახ. დრ.) კადეტთა კორპუსის შენობაში დანიშნულია საშუალო და დაბალ სკოლის მასწავლებელთათვის კურსების მსმენელთა შეერთებული კრება. ვთხოვთ ტფილისის მასწავლებელთ დაესწრონ აღნიშნულ კრებას. კრების საგანია—სამეცნიერო დარგების მიხედვით დროგამოშვებით მასწავლებელთა ყრილობების მოწყობა. ცალკე მოსაწვევი ბარათები არავის გაეგზავნება.

## ლტოლვილნი.

ბაკურიანიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ლტოლვილთა მდგომარეობა აუტანელი ხდება. სიმშილისა და სიცივის გამო, ლტოლვილნი აპირებენ უკან დაბრუნებას სოფ. თურიცში, ვარევანში, ვალასტანში-მთებზე თოვლია, ბაკურიანში მძაფრი სიცივებია, რის გამოც აქ დარჩენა აღარ შეიძლება. ლტოლვილები მოუთმენლად მოელიან სამშობლოში ახალციხის მაზრაში დაბრუნების შესახებ განკარგულებას, ან და დაბინავებას იმ კუთხეში სადაც კი ცოტაოდნათ შესაძლებელია ცხოვრება.

## ხელოვნება.

○ კვირას, 8 სექტემბერს, მეორე ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხისა) ვ. გამყრელიძის დ ე. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა დ. ერისთავისა „სამშობლო“.

○ ქარ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რომ მუსიკალურ სკოლაში დაარსოს ქალ-ვაჟის მომღერალთა გუნდი; ხმის და სმენის გამოცდის შემდეგ, მოწაფე ვალდებულია შეისწავლოს თეორია მუსიკისა, სოლფეჯიო, ჰარმონია, ენციკლოპედია, ისტორია მუსიკისა და კულტურისა, ამასთანავე მოამზადებენ ლოტბართა კლასს—მოწაფენი მთელი წლით თავისუფლდებიან სწავლის შესატან ფულიდან მხოლოდ ვალდებულნი არიან გუნდმა კვირაში ორჯელ იქონიოს მეცადინეობა.

## ბაქოს ამბები.

○ გუშინ გაემგზავრენ ბაქოში ისიდორე რამიშვილი და არზუმანოვი.

## ბაქოს გარშემო.

○ კონფლიქტის გამოსარკვევათ ბაქოში გასაგზავნმა დელეგაციამ საქართველოს მთავრობასთან მყოფ ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელის პირით, მიიღო პირობები, რომლის ძალით შეიძლება დელეგაციის გაშვება ფრონტზე ბაქოსკენ. პირობები შემდეგია: დაუყოვნებლივ იარაღის აყრა, ადერბეიჯანის მთავრობის აღიარება, და ქალაქის და ნავთის ყველა სამრეწველოების გადაცემა. თავის მხრივ ადერბეიჯანის მთავრობა უზრუნველ ჰყოფს ბაქოს მოქალაქეთა ცხოვრებას. ეს პირობები ის. რამიშვილმა რადიოთი გადასცა ბაქოს მთავრობას.

## ხოლერა.

○ მედიკურ-სასანიტარულ ნაწილის უფროსის ექიმ მ. ო. ზანდუკელის განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკაში იგზავნებიან რწმუნებულნი ხოლერასთან და სხვა და სხვა გადასადებ სენთან საბრძოლველად.

○ პროფ. შიროკოგოროვი დაბრუნებული ფოთიდან გადმოსცემს უფროსს რომ, ქ. ფოთამდე ხოლერა უკვე დაცხრა. ბაკურიანშიც, სადაც 40 ათას ლტოლვილთ მოუყრიათ თავი და აუტანელ პირობებში სცხოვრებენ მიწურებში და სურსათ მოკლებულნი, ძლიერ იკლო ხოლერამ და ამ უკანასკნელ დღეებში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა. ბაკურიანში ამ ჟამად 8 სასანიტარო საეპიდემიო რაზმი იმყოფება და საავადმყოფო 300 საწოლით. საზოგადოთ მთელ რესპუბლიკაში მიუხედავათ იმისა რომ ხოლერამ ადრე იჩინა თავი დროზე ზომების გამო ჩქარა დაცხრა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 11 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 9. 6 სექტემბერს სულ იყო 102 ხოლერიანი და 17 საეჭვო ავადმყოფი.

## სხვა და სხვა ამბები.

○ რადგან ტყვიბულის ქვანახშირში ბევრი სილა და ნაცარია, გზათა სამინისტრო ლებულობს ზომებს ქვა-ნახშირის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. ამისთვის ტყვიბულში აშენდება ქარხანა, სადაც დაიწმინდება ქვანახშირი. იქ დროებით სამუშაოდ გაგზავნილი არიან სპეციალისტი—ინჟენრები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მუშაობა.

○ ტფილისში დაბრუნებულ საქართველოს სახავო დელეგაციის წევრმა პ. ინგოროყვამ გადმოგვცა, რომ სტამბოლში დარჩენილ გ. გვაზავას და გ. რცხილაძეს მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთის მთავრობასთანაო.

○ გუშინ დილით ტფილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყრილობა. რადგან რკინის გზით მგზავრობა გვიანდება, ჯერ ყველა დელეგატები არ ჩამოსულან.

○ აფხაზთა სამინისტროს კანცელარია გაიხსნა პეტრე დიდ... ქუჩაზე, № 12. სამინისტროს კანცელარიი... ...ექტორად მიწვეულია ა. ლ. ჯორჯაძე.

○ სექტემბრის შუა რიცხვებში ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი ფოთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიემგზავრება. მსურველთ შეუძლიათ პირობები იკითხონ გუნიბის ქ. № 4 ბისეროვთან.

○ ხალილ-ფაშამ განუცხადა სომხეთის მთავრობას, რომ მან აცნობა ოსმალეთის მთავრობას განთავისუფლებულ იყოს ის ადგილები ოსმალეთის ჯარებისაგან, რომელიც სომხეთის მთავრობას ეკუთვნის.

# პატარა შენიშვნები

პრესის თავისუფლებით ჩვენში ზოგიერთი სოციალისტი—კალმოსნებიც კი ბოროტათ სარგებლობენ. ყვითელმა პრესამ როგორც იქნა ხმა ჩაიკმინდა. მაგრამ მათი ადგილი ამ ჟამად ესერების ორგანოებმა დაიჭირეს. რუსული „ტრუდოვოე ზნამია“ და ქართული „შრომა“ ერთმანეთს ეცილებიან და შველიან მთავრობის გაკიცხვა-გაკრიტიკებაში. კრიტიკის წინაალმდეგი არც ჩვენა ვართ, მაგრამ დაუსაბუთებელი მთავრობის კრიტიკით მხოლოდ დათვურ სამსახურს გვიწევენ ესერები.

მაგ. „შრომა“ ეხება ჩვენსა და გერმანელებ შორის დადებულ რაღაც საიდუმლო ხელშეკრულებას, რომლითაც თურმე ჩვენ ეროვნულ ეკონომიას და ვაჭრობა-მრეწველობას დაღუპვა მოელის. ამ ხელშეკრულების ძალით გერმანია შავი ქვის სატარიფო გადასახადს მხოლოდ 9 კაპ. იხდის, ნაცვლად 57 კაპიკისა. ესერების ორგანო წინამორბედობასაც კი კისრულობს და ამბობს, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველო მხოლოდ ფორმალურად შეინარჩუნებს დამოუკიდებელ სახეს და ადრე თუ გვიან ის გადაიქცევა ნემეცურ კოლონიათ, რომელსაც საშუალება არ ექნება განავითაროს საკუთარი ეკონომია და ვაჭრობა-მრეწველობა. ამასთანავე „შრომა“ ბრალსა სდებს მთავრობას, რომ ეს ხელშეკრულება ჯერ არ გამოუქვეყნებია მას, რაიც მიუტოვებელ ცოდოთ უნდა ჩაეთვალოს დემოკრატიულ სახელმწიფოს მთავრობასო.

რამდენათაც ვიცით, არავითარი ასეთი ხელშეკრულება და საერთოდ საიდუმლოება არ არსებობს ჩვენსა და გერმანიას შორის. ეკონომიის საკითხების გამოსარკვევად, როგორც ვიცით, ამ ჟამად აქვს მოლაპარაკება მთავრობას გერმანიის მისიასთან და სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ინტერესები დაცულ იქნება ეკონომიურადაც.

ნაადრევი წინასწარმეტყველება და ლაპარაკი რაღაც საიდუმლო ხელშეკრულებაზე, ერთგვარ შუღლს დაბადებს ჩვენსა და ჩვენ მოკავშირეს შორის, რაიც სასურველი არ არის. ამისათვის ყოველ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ურჩევდით „შრომის“ კალმოსნებს, ფრთხილათ მოკიდებოდენ საკრიტიკო საგანს, განსაკუთრებით ასეთ საპასუხისმგებლო სფეროში.

***

ესერების რუსული ორგანო „ტრუდოვოე ზნამია“ არც ამ „საიდუმლოებით“ კმაყოფილდება და ის ახალ ჭორს თხზავს, იმის შესახებ თუ ამ 2—3 თვის განმავლობაში რა დევნას, რბევასა და დაპატიმრებას განიცდიან რუსეთის ქვეშევრდომნი, განსაკუთრებით კი რუსის ოფიცრობა; თურმე ნუ იტყვით რუს ოფიცრებით სავსეა ტფილისის ციხეები და „უდანაშაულოდ დასჯილებმა“ არც კი იციან თუ რაში ედებათ ბრალი. გაზეთს საბუთად მოჰყავს 20-ი „უდანაშაულო“ ოფიცრების ხელ მოწერილი წერილი, რომლებიც თურმე მართლები არიან, აბრაამის ბატკანივით და გახდნენ მსხვერპლი მხოლოდ „საქართველოს მთავრობის აგენტების თვითნებობისა“. ასეთი ინსუნაციებისა და პროვაკაციის ნაყოფი ჩვენ უკვე ვიგემეთ (გაიხსენეთ არმავირის ტრაღედია და სხვა მრავალი). ასეთი პროვაკაცია აღწევს რუსეთამდე, სადაც თურმე მართლა დარწმუნებულია „საბჭოთა მთავრობა“, რომ საქართველოში ვითომ სდევნიან საერთოთ რუს ოფიცრობას. ეს ჰბადებს მტრობას ჩვენსა და რუსეთ შორის. რუსეთში ხალხს არა აქვს საშუალება გაიგოს სიმართლე საქართველოს შესახებ და ამიტომ ის ხდება მსხვერპლი სხვა და სხვა პროვოკაციული ხმებისა.

აბა, დაასახელოს ესერების ორგანომ, ერთი მაგალითი, მაინც თუ როდის ან სად აცვეს ჩვენში ჯვარს რუს ოფიცრობა.

მართალია ჩვენში დარჩენილ რუს ოფიცრობისა და ჩინოვნიკობის უმრავლესობა გაჟღენთილია ჩვენდამი მტრობით, მაგრამ მთავრობა მათ მაინც ლმობიერად ეპყრობა და რა გასაკვირველია, თუ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც აშკარად ღალატს სჩადიან, აწყობენ სხვა და სხვა ფარულ ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს აფეთქებას და განადგურებას უპირებენ, მთავრობა არ ინდობს; სახელმწიფოს მოღალატენი თვეობით კი არა წლობით უნდა იჯდენ ციხეში. უდანაშაულოდ ჩვენში არავის აპატიმრებენ, პირიქით, მეტი დემოკრატიულად მოპყრობა მათ, კიდევ ათავხედებს.

რად უკვირს ესერების ორგანოს, როცა 2-3 თვით ჩვენში დ ა მ ნ ა შ ა ვ ე რუს ოფიცრებს აპატიმრებენ, მაშინ როცა მოსკოვში 18,000 უ დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ოფიცრობა ჩასვა ციხეში „ბალშევიკურმა“ მთავრობამ! **ვ.**

## საქართველოს წითელი ჯვრის დაარსების დღე.

ახალი სიმპატიური საზოგადოების წესდება უკვე შედგენილია. მთავრობამ დაამტკიცა კიდეც ეს წესდება. ამიტომ დღეს დანიშნულია წევრთა დამფუძნებელი კრება.

ამ გვარად ჩვენ გვემატება ერთი უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოება, რომელსაც ერთსა და იმავე დროს აქვს ხასიათი ეროვნულ და საერთაშორისო ფილათროპიული დაწესებულებისა.

წესდების თანახმად მიზანი საზოგადოებისა ასე განისაზღვრება: იგი უმთავრესად ეხმარება სამხედრო მთავრობას დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მოვლაში ომიანობის დროს. განსხვავებას არ აკეთებს, ეს მეომრები სამშობლო ჯარს ეკუთვნიან, თუ მტრის ბანაკს.

უწევს ყოველგვარ დახმარებას დასახიჩრებულ სამხედრო პირებს, აგრეთვე დაზარალებულებს საერთო საზოგადო უბედურების დროს, ებრძვის მალარიას (ჭაობის ციებას), ჭლექს, თვალის ტკივილს და სხვა ამისთანა გადამდებ სენის ხალხში გავრცელებას. ამისათვის საზოგადოებას შეუძლია იქონიოს განსაკუთრებულად გადადებული სპეციალური თანხები.

ეს თანხები სდგება როგორც დაწესებულ გარდასახადებისაგან, ისე სხვა და სხვა შემოწირულებათაგან, შემოწირულება შეუძლია შეაგროვოს ყულაბებითაც; საზოგადოებას ნება აქვს შეიძინოს უძრავი ქონება.

საზოგადოებას შეადგენენ საპატიო, ქველმოქმედი და ნამდვილი წევრნი. საწევრო გადასახადად წესდება აწესებს ყოველ წლივ არა ნაკლებ 10 მანეთისა, ან ერთდროულად არა ნაკლებ 200 მანეთისა. საზოგადოების საქმეთა მართვა მინდობილი აქვს მთავარ-სამმართველოს, მას აქვს აგრეთვე განყოფილებები რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებსა და უმთავრეს დაბებში. მთავარი-სამმართველო იმყოფება ქ. თბილისში. პირველ ხანებში განზრახულია განყოფილებათა დაარსება სოხუმსა და ქუთაისში. განყოფილების დაარსება შესაძლებელია მაშინ, როცა სამმართველოს ამის შესახებ თხოვნით მიმართავს ადგილობრივი მცხოვრები, 30 წევრი მაინც.

მთავარ-სამმართველო შესდგება ცხრა წევრისაგან; ამათ რიცხვში თავმჯდომარისა და მისი ორი ამხანაგისაგან. არჩევა ხდება ბარათებით. სამმართველოს ჰყავს კანცელარიის გამგე, მისი თანაშემწე, ბუჰალტერი, კონტროლიორი, ხაზინადარი და სხვა საჭირო საკანცელარიო მოხელენი.

განყოფილების გამგეობა შესდგება 5—9 წევრისაგან, როგორც ამას გადასწყვეტს საზოგადო კრება განყოფილების წევრთა. გამგეობასაც ჰყავს თავის მოხელენი.

საზოგადოებას ნება აქვს დაარსოს წითელი ჯვრის მოწყალების დათა თემები.

ომიანობის დროს განსაკუთრებულ მოხელეებს ნიშნავს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ომის ასპარეზზე ისე მთავარ ზურგშიაც. მოხელეების სახელწოდება არის მთავარ-რწმუნებულნი და რწმუნებულნი. ამათი უფლება-მოვალეობა განსაზღვრული უნდა იყოს ცალკე ინსტრუქციით, რომელიც უნდა შემუშავდეს საზოგადოების მმართველი ორგანოს-მიერ სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით. ამ ინსტრუქციას ამტკიცებს საზოგადო კრება.

საზოგადოების თვალსაჩინო ნიშნად არის საქრისტიანოში საყოველთაოდ მიღებული სწორბოლოებიანი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც დაწესებულია ჟენევის კონვენციისაგან 22 აგვისტოს, 1864 წელს. ამ ნიშნით სარგებლობა საქართველოში ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომელსაც შეუძლია ამ ნიშნით სარგებლობა აკუთვნოს აგრეთვე ამ საზოგადოების გარეშე მდგომ დაწესებულებებსაც, რომელნიც წითელი ჯვრის მიზანს ემსახურებიან რესპუბლიკაში.

ამ ნებართვის გარეშე აკრძალულია რაიმე მიზნით წითელი ჯვრის ნიშნით სარგებლობა.

ეს ნიშანი აქვს გაკეთებული საზოგადოების ბეჭედსა და დროშს, საწყობების, ტრანსპორტების და ლაზარეთების ალაგს, აგრეთვე ხელსახოცსაც, რომელსაც სამსახურის დროს წითელი ჯვრის მოსამსახურენი ატარებენ მარცხენა მკლავზე.

ამგვარად აღორძინების გზაზე შემდგარი ჩვენი საქართველო გამოდის სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო ასპარეზზე.

ვუსურვოთ ახალ დიდ მნიშვნელობის საზოგადოებას დღეგრძელობა და ვინატროთ, რომ იგი ღირსეულად ამოსდგომოდეს გვერდში ჩვენს სახალხო მთავრობას, რათა გაეთქვას სახელი ჩვენს ერსაც მთელ მსოფლიოში თავის ჭეშმარიტ ჰუმანიურ მოქმედებით საკაცობრიო ასპარეზზე.

გაუმარჯოს საქართველოს დ მის დემოკრატიას.

გაუმარჯოს აღორძინებულ საქართველოს პირველ სახალხო მთავრობას!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯვარს!

გრიგოლ დიასამიძე

# კიდევ მიწის საკითხის შესახებ

მიმღები კომისიები თითქმის ნახევარი წელიწადია, რაც მუშაობენ; ზოგ რაიონებში მათ კიდეც მოათავეს მუშაობა; ზოგან ახლო მომავალში გაათავებენ; ყოველ შემთხვევაში ახალ წლამდის მიმღები კომისიების მუშაობა დამთავრდება.

ამნაირათ პირველი ნახევარი მიწის რეფორმისა ცხოვრებაში თითქმის ტარდება.

დგება დრო რეფორმის მეორე ნახევარის, უფრო ძნელის და რთულის კანონმდებლობის გზით განხორციელებისა; ეს არის მიწების ფონდის დანაწილება და კერძო საკუთრებათ მათი დამტკიცება სოფლის მუშებზე.

ამის შესახებ, როგორც სამინისტროში გადმოგვცეს, შესაფერი კანონ-პროექტი უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბორბა“ მათ საყურადღებოთ სწერს, რომ გერმანიას და საქართველოს შორის არავითარი სავაჭრო ხელშეკრულობა არ დადებულა, მხოლოდ მოლაპარაკება დაიწყო და სრული იმედია, რომ შეძლებისდაგვარათ მთავრობა შეეცდება საქართველოს არსებითი ინტერესები დაცულ იქმნას“.

დაუმტკიცებელ ხელშეკრულობის გამოქვეყნება, როდესაც მსოფლიო მოლაპარაკება სწარმოებს, უაზრობა იქნებოდა.

* * *

ყველა დარგში რამე გაკეთდა, მთავრობის ცდამ ნაყოფი გამოიღო, მაგრამ სასურსათო კრიზისს ოდნავ განელება ვერ მოგვიხერხებია, სუსტი გამოვდექით და ეს ძალიან აფერხებს ჩვენი ცხოვრების მოწესრიგებას. „ერთობა“ სწერს:

სასურსათო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეტად მოუწყობელია. ეს დიდი და მთავარი საკითხი ჩარჩ-ბაცაცებმა იგდეს ხელთ. პურის სპეკულიაციამ იქ მდე მიაღწია, რომ ფართო მასსას თავისი დღიური შემოსავალი პურის ფულათ არ ჰყოფნის.

ვერ ვიტყვით, რომ მას მთავრობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდეს და მის წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობდეს, მაგრამ მისი მუშაობა და ორგანიზაციული მოქმედება უნაყოფო გამოდის და ხალხის ტკივილებისათვის მალამო ვერ დაუდვია.

აშკარაა, მთავრობა შეეცდება და სასურსათო საქმის მოწყობას დიდ ყურადღებას მიაპყრობს.

---

# თურქული პრესა.

თურქულ გაზეთ „ვაკთ“-ში, რომელიც სტამბოლში გამოდის დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„წარსულ წელს გერმანიის პრესის წარმომადგენელმა სხვათა შორის სთქვა, რომ ამ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებანი უბრალო გაუგებრობის გავლენაში არ უნდა დარჩეს. მათ შორის მუდმივი განწყობილების შესაქმნელი პირობებიც უნდა იქმნეს დაცული. მიზანი ჩვენი ცხადია—არსებული საკითხების გარჩევა თავისუფალი კამათის საშუალებით. წელსაც გვქონდა გერმანელების პრესის წარმომადგენლებთან საუბარი და ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის არსებული საკითხები მარტო ზერელე სიტყვებით კი არ უნდა იქმნეს, არამედ სიტყვა საქმედ უნდა იქცეს. თუ საჭიროება მოითხოვს, მკაცრის სიტყვებით გამოვიდეთ და მივცეთ მას სასურველი გარკვეული სახეო. და მეც ამ სიტყვებით გამხნევებული ვწერ შემდეგ პწკარებს. გაზეთი შემდეგ აღიარებს, რომ უცხო ქვეყნებში შესულმა გერმანელებმა გერმანეთის სასარგებლოდ სიმპატია ვერ დაიმსახურეს. გერმანეთის დიდებამ და შემოქმედებამ უცხოელები გააოცეს და შესაძლებელია მათში სიმპატიაც აღძრას, მაგრამ ვერასოდეს საერთო სიყვარულის დამსახურება ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

ჩვენ საინტერესოთ მიგვაჩნია ყოველ შემთხვევაში მოვიყვანოთ ოსმალურ გაზეთებიდან ზოგიერთი ადგილები გერმანიის შესახებ. ვნახოთ რა მოსწონთ და რას უწუნებენ გერმანელებს ოსმალეთის ზოგიერთი წრეები.

გაზეთის აზრით, გერმანელებმა ვერ გაგვაცნეს თავი და ვერც ჩვენი გაცნობა შესძლეს. ჩვენი ქვეყნების სანახავათ მოსულები ჩვენზე, ჩვენს ძველ მდგომარეობაზე კი არ ჰფიქრობენ, არამედ გერმანელები გვადარებენ და ბოლოს ჩვენ შესახებ გამოტანილ ცუდ ხმებს ავრცელებენ. ჩვენში გერმანელებმა მოქალაქობრივი პროპაგანდის გაწევით, მათი ვინაობა, ლიტერატურა, მეცნიერება და ხელოვნება რომ გაგვაცნოს არავის სათქმელი არ ექნება. ამის წყალობით ჩვენი ინტელიგენტური ცხოვრება გამდიდრდება. ამ თვალსაზრისით გერმანელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. გერმანელებმა ჩვენს ქვეყანაში რამდენადაც შესაძლებელია ორჭოფობა გამოიწვიეს. ჩვენი მოკავშირეები ხშირად ივიწყებენ, თუ რისთვის ჩავერიეთ ამ მსოფლიო ომში. თავდაპირველად ჩვენი მიზანი არის, ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბატონ-პატრონად ყოფნა.

გარდა ამისა, ჩვენი დღევანდელი ეკონომიური საკითხები არსებობს და უყურადღებოდ არის მიტოვებული. რა თქმა უნდა ასეთი მდგომარეობა ორივე მხარეთა შორის მუდმივ გაუგებრობას დაჰბადებს. ჩვენის აზრით, დროს ნუ დავკარგავთ შემოტანისა და გასატანის საქმეების შესახებ, ორივე მხარის ინტერესებს შესაფერად მოწყობის საშუალებანი უნდა გამოინახოს.

მაგრამ ამ საქმეში მხოლოდ სარგებლობის [illegible] თის თქმით გერმანიაში თურქები უტაქტოთ იქცევიან, ეს ცხადია, მაგრამ ამაში ზოგირეთ გერმანელსაც აქვს ბრალი. ზოგიერთი ჩვენი სახელმწიფოს მოხელეებმა რომ თავიანთ უფლებები ბოროტად იხმარეს ესეც მოხდა, მაგრამ ზოგიერთი გერმანელებიც კი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ეკონომიური ინტერესების შერყევას ნიადაგზე ოქროს კონტრაბანდისტობასა და ამის მსგავს საქმეებს რომ ეწევიან ესეც კი მართალია. საერთო ჩვენი დამოკიდებულების განმტკიცებისათვის ორივე მხარემ თავიანთი მოქმედება უნდა შეერთონ, თავიანთი დანაშაულებანი საჯაროდ აღიარონ და ამ უწესრიგობას ბოლო მოუღონ. ამას შემდეგ ორივე მხარის პრესა ორივე სახელმწიფოს დამოკიდებულებანი საფუძვლიანად უნდა გაირჩეს, გაირკვიოს და არსებული გაუგებრობანი, თავისუფალის, ლიტერატურული კამათის საშუალებით თავიდან უნდა აიცდინოს. ჩვენ შორის იმდენი საერთო ინტერესები არსებობს, ისეთი წვრილმანის გაუგებრობისა და უბრალო შეცდომათა დაშვებისა გამო რომ გულგრილობის ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დაშვებული.

---

# სომხური პრესა.

გამოვიდა ახალი ყოველდღიური სომხური გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინ“ (ხალხის ხმა), სომეხ „სახალხო პარტიის“ ორგანო. პირველ ნომერში გაზეთი სწერს:

„ჟოღოვრდი ძაინ“-ი-ის მიმართულებაზედ დაწვრილებით არას ვიტყვით. როგორც სომეხ სახალხო პარტიის ორგანო, რასაკვირველია, დაიცვას სომხურ სახალხო პარტიის მიმართულობას.

განსაკუთრებული პოლიტიკური პირობები, რომლებშიაც იწყებს გამოსვლას „ჟოღოვრდი ძაინ“ გვავალებს ფრთხილათ შევეხოთ ცხოვრების მოვლენებს, ვეცადოთ მათი ძირითადი მიზეზების გაშუქებას.

რომელიმე ერის პოლიტიკური ცხოვრება, რაც უნდა პატარა იყოს ის, ძალიან რთული და სერიოზიულია და სრულობით არ არის დამოკიდებული კლასსიური დიფერენციაციასაგან ő გინდ პოლიტიკურ—ეკონომიური ბრძოლისგან, არამედ აგრეთვე სხვა და სხვა პრინციპებისაგანაც, რომელთა მნიშვნელობა თუ უფრო მეტი არა ნაკლები არ არის. ამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული პრინციპების განხილვას და გამორკვევას დღეიდან შეუდგება გაზ. „ჟოღოვრდი ძაინ“.

იმ ძიმე და ტრაღიკულ ვითარიების დროს, რომელშიაც ამ ხანებში ჩვენი ერი იმყოფება ჩვენ არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ მის დღევანდელ და მომავალ—ბედ-იღბალის საკითხზედ. ყველაზე უმთავრესი და უპირველესი ჰაიასტანის ამშენებლობის საკითხია, რომლის გარშემო უნდა მოგროვდეს ყველა გონებრივი და ზნეობრივი ძალა ჩვენი ხალხისა, რომ შესაძლებელი გახდეს ბრძოლა იმ სასოწარკვეთილებასა და ნახევრად ცრუ მორწმუნოებასთან, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი ხალხი ისტორიული უმაგალითო პირობების გამო.

სომეხ ხალხის სულში უნდა გავაღვიოთ რწმენა და იმედი თავის პოლიტიკურ და კულტურულ მომავალის, დავარწმუნოთ, რომ საუცხოო წარსულის მქონე ერი, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში განსაზღვრული როლი უთამაშნია, კი არ გაფუჭდება, არამედ მოელის ბრწყინვალე და ბედნიერ დღეებს.

ყველაფერ ამის მისახწევათო, ამბობს „ჟოღოვორდი ძაინ“ ჩვენი გაზეთის ძირითადი დევიზი იქნება სოლიდარობა და გულწრფელი შერიგება ჩვენს მეზობლებთან, რომ შესაძლებელი გახდეს ახლო მომავალში—შეერთება ერთი სახელმწიფოებრივი მთლიანობისა.

რედაქცია პირდება, მკითხველებს, რომ გაზეთში მოთავსებულ იქნება დროგამოშვებით აგრეთვე ხელოვნური, ისტორიული, კრიტიკული და სხვა და სხვა გვარი წერილები.

ვნახოთ როგორ შეასრულებს სომეხთა კადეტების ორგანო ამ კეთილ სურვილებს!.

---

# ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ცნობები.

**სამინისტროს ნაბიჯები.**

გარდა სამრეწველო პოლიტიკისა, რომელსაც სამინისტრო ჩვენ მეზობელ სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკების და მოკავშირე სახელმწიფოებისადმი აწარმოებს-პირველ რიგში სათანადოთ არკვევს და შესაფერ ნაბიჯებს სდგამს იმ მწვავე და გადაუდებელ საკითხების გადასაწყვეტათ, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის გარშემო ტრიალებს და ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს ეხება.

სათბობი მასალა

პირველი ნაბიჯი, რომელიც სამინისტრომ გადასდგა, ეს არის სათბობ მასალის დაგროვება და მით სახელმწიფოს უზრუნველყოფა რამდენათაც კი ეს შესაძლებელი იქნება. სამინისტრომ რეკვიზიცია უყო და ჩაიბარა ყველა ის სათბობი მასალა, რომელიც გაფანტული იყო რესპუბლიკის სხვა დაწესებულებებში; ამ მასალას სამინისტრო ანაწილებს და ხმარობს საჭიროებისამებრ ნორმის და წესის მიხედვით და მთელი თავის ძალით სცდილობს ამ მასალის მომჭირნეთ ხმარებას,

მადნეულობა,

ამას გარდა სამინისტრო შეუდგა გამომკვლევ რაზმის გაფართოვებას, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში სათბობ და საწარმოო მასალის აღმოჩენა. მაგ. ნავთის დამუშავება კახეთში, გურიაში და ტფილისის ახლო-მახლო მიდამოებში.

სამინისტრო შეუდგა სათბობ მასალის რაოდენობის გამორკვევას და სტატისტიკურ ცნობების შეკრებას. დაარსდა სპეციალური მიმწოდებელი განყოფილება, რომელიც სათბობ მასალას გაანაწილებს სხვა და სხვა უწყებათა შორის.

ამ ჟამად სამინისტრო არკვევს საქართველოში მადნიანი მიწების რაოდენობას და ქვანახშირის და სხვა მადნების ანალიზის გაკეთებას.

ამასთანავე მიღებულია ყოველივე ზომები საქონლის გაცვლა-გამომცვლელ კომიტეტის მიერ საზღვარ გარეთ საჭირო მანქანების და მასალების შესაძენად ჩვენი ქვეყნის სამრეწველო აყვავებისათვის.

სამინისტროს აგენტები და ინჟინრები ამ მიზნისათვის უკვე შეუდგენ მდიდარ მადნიან ადგილების კვლევა-დამუშავებას და ამ მხარეს დიდი ყურადღებით ეპყრობა სამინისტრო.

სამინისტრომ გაგზავნა მომარაგების კომიტეტში კანცელარიის დირექტორი დიმ. აფხაზი ყველა იმ მასალების და ქონების აღსანუსხავათ, რომელიც იქ არის დაგროვილი და სრულიად უსარგებლოთ ფუჭდება, რათა ეს მასალა გამოყენებული იქმნას ჩვენი ქვეყნის სამრეწველო აღორძინების საქმეში.

სამინისტრო შეადგენს ვრცელ მოხსენებას სამრეწველო პოლიტიკის და ყველა იმ ზომების შესახებ, რომელიც ჩვენ ქვეყანას ამ სამრეწველო და სავაჭრო კრიზისიდან გამოიყვანს, საკმაოდ აღწევს ჩვენი ქვეყნის საწარმოო-სამრეწველო ძალთა გაერთიანებას და ამით ფართო სამოქმედო ასპარეზი მიეცემა ვაჭრობა-მრეწველობას საქართველოში.

ოქრო-ვერცხლი

ამ ჟამად სამინისტრომ დაიწყო ალავერდის ქარხანაში ოქრო-ვერცხლის დამუშავება. იქ დღეს აუარებელი მუშა ხელი მუშაობს.

საზოგადოდ ვაჭრობა-მრეწველობის უწყება იმ აზრისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობის ასაყვავებლად და შესაფერ დონეზე დასაყენებლად არ კმარა მარტო სურვილი.

სამინისტროს ყოველი მოქმედება უბრალო წყლის ნაყვად რომ არ გადაიქცეს, საჭიროა ყველა ცოცხალ ძალთა შეკავშირება-გაერთიანება და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისის მიხედვით გონიერ კერძო ინიციატივისათვის ფართო და თავისუფალ გზის გახსნა.

ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სალიკვიდაციო კომისია.

სალიკვიდაციო კომისიამ ამ ჟამად თავის მუშაობა უკვე დაასრულა. 15 ენკენისთვიდან თანახმად მთავრობის დადგენილებისა სალიკვიდაციო ბარათების განაღდება შეწყვეტილი იქნება, რომლის შემდეგაც შეუდგებიან კომისიის მიერ განაწევ ხარჯების აღნუსხვას, რომელიც დიდხანს გასტანს.

ამ მიზნისათვის ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიის მთავარ გამგემ დიმ. აფხაზმა მოიწვია ამ საქმით დაინტერესებულ დაწესებულებათა სხვა და სხვა პირები, რომელმაც ამოირჩია საგანგებო კომისია, სპეციალისტებისაგან შემდგარი, რომელიც შეიმუშავებს ანგარიშის ფორმას.

ამიერიდან, ვისაც საკრედიტო ბარათები აქვს მიცემული, უნდა მიმართონ რუსეთში არსებულ საბჭოთა მთავრობას.

---

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

7 სექტემბერი.

მოსკოვი. მოსკოვის გაზეთი „პრავდა“ იტყობინება, რომ ამ ჟამათ საბჭოთა მთავრობას ხელთ აქვს საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ შეთქმულობაში.

განსაკუთრებულ კომისიას ხელთ აქვს ხელწერილები, რომლებსაც ხელს აწერს ლოკარტი და რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოღალატენი სარგებლობდნენ მოსკოვში ბრიტანეთის მისიის მფარველობით. ქაღალდებზე არის ბრიტანეთის მისიის ოფიციალური ღერბი და ბეჭედი.

შეთქმულებაში მონაწილეებს შედგენილი ჰქონიათ გეგმა ეხლანდელი მთავრობის დამხობის და ახალის შექმნის. განზრახული იყო სამი პირისაგან შემდგარი დიქტატურა. ლოკარტი ამბობს, რომ მას შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია, საგანგებო კომისიის ხელში კი ბევრი ისეთი საბუთებია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეთქმულების მომწყობი არიან ბრიტანეთის მისია და მონაწილეობენ აგრეთვე საფრანგეთის კონსული გრენარი და ბევრი ფრანგ-ინგლისელი ოფიცრები.

ტაშკენტი. სახალხო კომისართა თავმჯდომარეს ივანესოვს. ლენინი რჩება. ლენინის სიკვდილის განზრახვის გამო, ყველა ქალაქებში ბურჟუაზიის რეგისტრაცია, თეთრი გვარდიელების დატუსაღება და დახვრეტაა.

ვ. ც. კ. სხდომაზე მიღებულია შეუბრალებელი წითელი ტერორი, თეთრი გვარდიელების სრული განადგურება.

ცარიცინის ფრონტზე მოწინააღმდეგე უკუ ვაქციეთ დონისკენ. დონზე ბევრ ადგილას განმტკიცებულია საბჭოთა მთავრობა.

კრასნოვის ჯარები ჩვენ მხარეზე გადმოდიან. ამიერ-კავკასიის შესახებ ცნობები არ არის. ამ დღეებში... (გამოტოვებულია) ახალი ხელშეკრულებაა გერმანიასთან, რომლითაც ჩვენ უკან ვღებულობთ ქალაქებს: პსკოვი, დვინსკი, ვილნო, გროდნო, დონის ოლქის ნაწილი.

ბერლინი. უკრაინის გეტმანმა, უკრაინის ელჩის ბარონ შტეინბერხის თანხლებით ინახულა რეიხს-კანცლერი.

„მორნინგ პოსტი“ სწერს კრონპრინცის სიტყვებზე: „კრონპრინცმა სთქვა ის, რის თქმაც აუცილებელი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ მტერი გერმანიას ანგარიშს არ უწევს, რადგანაც ფიქრობს, რომ შესძლებს მის განადგურებას. ის არ გაათავებს ომს, თუ გერმანიას არ დაამარცხებს“.

ფორვერსტი სწერს: კრონპრინცის შეხედულება გამარჯვებაზე ისეთია, როგორც უმრავლესობის.

ალბანეთის ფრონტზე ახალი არაფერია.

სტამბული, 6 სექტ. პალესტინის ფრონტი. განაპირა ადგილებზე ზოგჯერ ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. იორდანეს მიდამოებში მტრის მზვერავი რაზმები უკუ ვაქციეთ. სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერია.

პარიზი, 6 სექტ. სომას და ენის შუა დღის განმავლობაში ფრანგების ჯარების მოქმედება არ შეწყვეტილა. ფრანგებს ხელთ აქვთ გამ-შონი. გუშინიდან ფრანგის ჯარებმა წინ წაიწიეს 10 კილომეტრით. ელეტის ჩრდილოეთით ფრანგებმა დაიჭირეს ტყე კუსი-დე პტი-კარიზი. გერმანელები იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ ტყეში აუარებელი სამხედრო მასალა. ფრანგებმა ისევ დაიჭირეს მდ. ენის ჩრდილოეთი ნაწილი. ენის სამხრეთით ამერიკელებმა გაიმარჯვეს.

პეტროგრადი, 6 სექტ. გაზეთების ცნობით, ზინოვიევი ამბობს, რომ ურიცკი მოჰკლეს ინგლისის ინიციატივით, ლენინის მოკვლის განზრახვის ინიციატივაც ინგლისელებს ეკუთვნის.

როტერდამი, 6 სექტ. „როტერდამსკი კურანტის“ ცნობით, 6 აგვისტოს ჩაიძირა გემი „ნშეროკი“, რომელსაც წინეთ რეკვიზიცია გაუკეთა ამერიკის მთავრობამ.

ბერლინი, 6 სექტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. იპრსა და ლა-ბასეს შუა ჩვენ მოვიგერეთ მტრის მზვერავი. პლედოსტერტის და არმენტიერის შუა ჩვენ მოვიგერეთ მტრის შეტევები და 160 ტყვე წამოვიყვანეთ.

სომას და უაზას შუა მტერი წინ იწევდა და საღამოს გამ-შონის დასავლეთით გაჩნდა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. სუასონის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე ვესლით წინ იწევს. ჩვენმა არტილერიამ და ქვეითა ჯარმა შეაჩერა მტერი და დიდი ზარალი მიაყენა. ფირმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოვიგერეთ ამერიკელთა ძლიერი შეტევა.

ვენა, 6 სექტ. იტალიის ფრონტი. ტონალე-ბასის(?) სამხრეთით ჩვენ მოვიგერეთ იტალიის ჯარის ნაწილები. საერთოდ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

---

# ახალი ამბები.

**მთავრობაში.**

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის 2.500.000 მანეთის მიცემის შესახებ მილიციის შესანახათ.

[illegible] მომავალში მთავრობა წარადგენს [illegible] დასამტკიცებლად.

[illegible] კანონ-პროექტისა [illegible] პრინციპები, რომელიც შეიმუშავა სამინისტროს მიერ საგანგებოთ მოწვეულმა თათბირმა. მაშინ პირველი პრინციპიალური საკითხი იყო: მიწის მუნიციპალიზაციის დაცვა, თუ მისი დანაწილება და სოფლის მუშებზე კერძო საკუთრებათ დამტკიცება. ხმის დიდი უმრავლესობით გადაწყდა ეს უკანასკნელი; მეორე საკითხი იყო: ფასით თუ უფასოთ გადაცემა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა—მხოლოდ ყველა იმ ხარჯების გადახდით, რაც მთავრობას აგრარული რეფორმის გატარებაზე დაეხარჯა და რაც დამტკიცებაზე დაეხარჯება; ხარჯებში უნდა იყოს მოქცეული სამელიორაციო და სხვა საჭირო ხარჯებიც. დაახლოვებით ამ პრინციპების მიხედვით იქნება აგებული მომავალი კანონ-პროექტი, რომელიც საბჭომ უნდა დაამტკიცოს, და რომელსაც ასე მოუთმენლად და გულის ფანცქალით ელის სოფელი.

დღემდე უნდო და ურწმუნო სოფელი, ყველას და ყველაფერს რომ იჭვით უყურებდა, ცისა და დედა-მიწის შუა რომ უმწეოდ ეკიდა და ავი ქარების ქროლაზე უაზროთ წალმა-უკულმა ბრუნავდა,—ამ კანონ-პროექტის საბჭოში წარდგენის შემდეგ სისწორით დაინახავს და ურწმუნო თომა იწამებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული მთავრობა პირველ ყოვლისა მისი მოსარჩლე და მისი ინტერესების დამცველია.

მომავალი მიწის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად, ჩემის აზრით, საჭიროთ მიმაჩნია გამანაწილებელი, ანუ გამწესრიგებელი კომისიების მოწყობა: ასეთ კომისიებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ სოფლების წარმომადგენლები ორ-ორი, ან სამ-სამი კაცი თვითეული სოფლიდან. სოფლის წარმომადგენლებთან ერთად მთავრობამ უნდა დანიშნოს თავისი წარმომადგენლებიც; მიზან-შეწონილი და ნაყოფიერი იქნება გამნაწილებელ კომისიებში ყოფილი მიმღები კომისიის წევრები დაინიშნონ, რადგანაც მათ უკვე იციან თავისი რაიონის მდგომარეობა და იცნობენ თავის რაიონის სალხსაც.

გამნაწილებელს კომისიებს მთავრობამ უნდა მისცეს სახელმძღვანელო ინსტრუქციების გარდა საჭირო სტატისტიკური ცნობები როგორც ჩამორთმეული და გასანაწილებელი ფონდის, ისე მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. მართალია ასეთი ცნობები, განსაკუთრებით მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, სავსებით სწორი არ იქნება, მაგრამ სოფლების წარმომადგენლები დაეხმარებიან, რომლებმაც კარგათ იციან ფაქტიურათ მცხოვრებთა რაოდენობაც, მიწის რაოდენობაც და ღირსებაც.

გამნაწილებელი კომისიების პირველი საქმე იქნება დასანაწილებელი მიწების სოფლებზე გაყოფა; ეს ყველაზე უფრო მძიმე და ძნელი საქმეა.

რა კი თვითეული სოფელი თავის საზღვრებში მოექცევა, მაშინ შედარებით უფრო ადვილი იქნება სოფლის ფარგლებში მიწის დანაწილება.

სოფლის მუშებზე მიწების დანაწილების დროს ცნობაში უნდა იყოს მოყვანილი პირველ-ყოვლისა რაოდენობა უმიწა-წყლო და მცირე მიწის პატრონი სოფლის მუშებისა, რომელთა შორისაც პირველ-ყოვლისა უნდა დანაწილდეს თავისუფალი მიწა.

მიწებით ჩვენი სოფლის მუშების დაკმაყოფილების შემდეგ სოფელი მიწაზე მაგრათ მოიკიდებს ფეხს და მთელი თავისი ძალ-ღონით დაუჭერს მხარს მთავრობას; ის ჯარსაც და ხარჯსაც სიამოვნებით მისცემს იმ მთავრობას, რომელმაც მას მიწა დაუმტკიცა საკუთრებად ამით სოფელი წელში გაიმართება და კულტურულ გზას დაადგება.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავება, ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ზრდა და მომავალი საერთო კეთილ-დღეობა ბევრათ არის დამოკიდებული მომავალ მიწის კანონის დაახლოვებით სისწორით და სამართლიანათ გატარებაზე-ამიტომაც მეტის ყურადღებით უნდა მოექცეს მას მთავრობაც და დამოუკიდებელი საქართველოს მოტრფიალე საზოგადოებაც.

ი. ი. ი.

## მუსიკის სწავლების საჭიროება

საზოგადოდ ამა თუ იმ ერის ცხოვრების შესასწავლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას. შეგვიძლია მოვიგონოთ ძველ ფილოსოფოსის სიტყვები: „თუ გინდათ გაიგოთ ერის ვითარება, მისი სულის კვეთება, ზნე-ჩვეულება და კულტურა, ჯერ უნდა გაიცნოთ მისი მუსიკა“.

მართლაც, ჩვენი მუსიკა მეტად ძველია და როგორც ხალხური მდიდარია, საინტერესოა მეცნიერულის მხრივ. ყოველივე პროცეს საქართველოს ცხოვრებისა, დაწყებულს აკვნიდან-სიკვდილამდის—ყოველივე ნაბიჯს, ფიზიკურ მუშაობას, დროს-გატარებას, ჩაცმა-დახურვას, რაინდობას, ტრფობას და ყოველგვარ მოქმედებას თან დასდევს შესაფერისი ჰანგი (მუსიკა). მიუხედავათ ამისა, საუბედუროთ, დღემდის ვსცხოვრობთ მხოლოდ ზეპირ გადმოცემით და ჩვენი მუსიკა სრულებით დაუმუშავებელია.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა ყურადღება აქვს მიქცეული მუსიკას ევროპაში და რუსეთში. ისტორია გვაცნობებს მუსიკის აღორძინებას და ვრწმუნდებით, რომ მუსიკა არამც თუ მარტო დროს გასატარებელი საგანია—არამედ მუსიკა შეადგენს ცხოვრების აუცილებელ საჭიროებას.

საკმარისია მოვიგონოთ უძნელესი პირობა მშობელ ხალხის ცხოვრებიდან, როდესაც დიად სიცხეში მოღლილი მუშა, ზურგ მოღუნული, ოფლში გაწურული მკის ყანას. აუტანელ ფიზიკურ მუშაობას იგი სიმღერით იადვილებს, მეტ ენერგიას იძენს და სიმღერითვე იქარწყლებს ყოველივე სიძნელეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი თვალსაჩინო გარემოება: ჩვენ ყველაფერს სამეცნიეროს ვიღებთ კულტურით დაწინაურებულ ერებისაგან. ჩვენ ვსწავლობთ მათგან და უკან მივსდევთ მათ. რომელი დარგიც უნდა ავიღოთ მეცნიერებისა ჩვენ მხოლოდ მოწაფენი გამოვდივართ სხვისა.

ერთად ერთი თავისებურობა არის ქართული მუსიკაში, რომელიც სამწუხაროთ მიყუჩებულია. სწორედ ამაზედ უნდა აღვძრათ ბაასი. ამ ჟამად შენდება ჩვენი ქვეყანა, ყოველ დარგს ეძლევა შესაფერისი საძირკველი, რომ მომავალში აღორძინდეს ის სასურველი ტაძარი, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. დღეს ყოველივე ირღვევა,—იცვლება ჩვენი ცხოვრება უკეთეს მომავლისათვის. ეხლა საჭიროა ყველამ გამოსთქვას თავის მოსაზრება, გეგმა. მოვიკრიფოთ ყოველივე ძალ-ღონე და შევქმნათ საუკეთესო, მკვიდრი საფუძველი ახალ-თაობის აღსაზრდელად. საჭიროა „ქართული სამუსიკო საზოგადოება“ ჩაუკვირდეს და გაუძღვეს ჩვენი მუსიკალურ ცხოვრების ვითარებას. ყველა სასწავლებელში არსებული გალობის გაკვეთილი ფართო გეგმით დამუშავდეს. დაიყოს სისტემატიურად თეორია მუსიკისა, სოლფეჯიო, გარმონია, ესტეტიკა, ენციკლოპედია და მუსიკის ისტორია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ცხოვრების გაჭირვებამ გამოიწვია ხალხის წყურვილი გამდიდრებისა. ჯიბემ და მუცელმა მოიცვა ქვეყანა. თითქოს დახლად გადაიქცა ჩვენი მხარე. აი, სწორეთ ამ დროს, ესაჭიროება ჩვენ სამშობლოს რომ ახალგაზრდობამ არ დაჰკარგოს თავის სულის სიფაქიზე, ბუნებრივი სიმდიდრე და აღორძინოს ზარბაზნებისაგან განადგურებული მხარე.

სწორედ ეხლა ესაჭიროება ჩვენ ერს მუყიათი მუშაკი, სულის ჩამდგმელი და ერთგული მოამაგენი.

გვწამს, რომ „ქართულ სამუსიკო საზოგადოების“ გამგეობა ენერგიულად შეუდგება თავის დიად დანიშნულებას.

იმედია საზოგადოებაც ამისთანა პატიოსან შრომას თავის თანაგრძნობას არ მოაკლებს.

გურჯანელი.

## ახალციხის მაზრის ქართველ სოფლების მდგომარეობა.

ახალციხიდან ჩამოვიდა ერთი პირი, რომელმაც გვიამბო შემდეგი:

ენა ვერ წარმოსთქვამს იმ გაჭირვებას, რომელსაც განიცდიან მაზრის ქართველი სოფლები. ნივთიერად ადგილობრივ მართველობამ მთლად გაანადგურა მცხოვრებლები: პური, ქერი, თივა, ბზე, ერბო, ყველი, ერთი სიტყვით, გარდა ხილისა ყოველისფერი გაზიდეს. ყველა გლეხი, მეტადრე ქრისტიანი, შებმული ურმით ეზიდება ყველა ამას ბათუმისაკენ; ჯავახეთიდან დღეში გააქვთ უმოწყალო პური და ქერი. ამ უკანასკნელ დღეებში მთავრობამ გამოუცხადა ქრისტიან მცხოვრებლებს, რომ უნდა წავიდნენ თავის ხარით და სამეურნეო იარაღით ჯავახეთში (80 ვერსი) და იქ გალეწონ ამ წლის მოსავალი. ამ შრომისათვის მიიღებენ ნაწილს გალეწილი ბზისას, (მუშაობა ხარ-ურმით და ხელით მუდამ უფასოა.).

წელს ჯავახეთში ისეთი მოსავალია რომ მთელ საქართველოს ორ წელიწადს გამოჰკვებდა; დაახლოვებით ოსმალეთის მიერ გაზიდული პური და ქერი ძველი თუ ახალი აღწევს რამოდენიმე მილიონ ფუთამდე, თვით მაზრის მუსულმანებიც-კი სტირიან ოსმალეთის უღლის სიმძიმეს, მათ სწამთ, რომ მათი ხსნა ამ გზით არ შეიძლება. საქართველოს დიდის სიყვარულით და იმედით უყურებენ.

ამ დღეებში წარუდგებიან ახალციხე-ჯავახეთის წარმომადგენლები მოხსენებით მთავრობას.

საზოგადოთ ქრისტიანი მცხოვრებლები ემადლიერებიან მხოლოდ აწმყო მმართველს ხალიფ ფაშას, რომელიც სამართლიანი და სინდისიანი ადამიანია.

## სენაკის სამეურნეო საზოგადოების წლიური კრების ანგარიში.

(20 ივნისი, 1917 წლ.—1 ივლ. 1918 წ.)

### ოქმი.

1918 წელ. ივლისის 28. კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. მაღნარაძემ, რომელმაც წარმოუდგინა კრებას გამგეობის მიერ შემუშავებული საკითხები შემდეგი წესით:

1. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედებისა და ანგარიშებისა, სარევიზიო კომისიის მოხსენებასთან ერთად.
2. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
3. მომავალი მოქმედების გეგმა.
4. მთავრობისადმი თხოვნა სუბსიდიის შესახებ.
5. მუზეუმის მოწყობა.
6. მიწის შეძენა სკოლისთვის.
7. საწევრო გადასახდების მომატება.
8. მოგების განაწილება და
9. არჩევნები.

თავმჯდომარე აკეთებს გასულ წლის მოხსენებას. ირკვევა, რომ საზოგადოებას საწევრო თანხა ჰქონია 101 მ. შემოწირულება 500 მ. განსაკუთრებული დანიშნულების 38,946 მან. 92 კ. სესხი 55658 მ. 83 კ. საქონლის საყიდლად შემოტანილი 996 მ. სხვა და სხვა შემოსავალი, მათში გადმორიცხული 25313 მ. 43 კ., მიბარებული ფულიდან 40,638 მ. 80 კ. შეძენილი საქონელი 144.290 მ. 55 კ. სამეურნეო იარაღების 6898 მ. წლიური ხარჯები 18,027 მ. 40 კ., წვრილი შემოსავალი 37 მ. 50 კ. ნაშთი წინა წლის ფულად 69 მან. 14 კ. სრულიად 331,477 მ. 57 კ. გასავალი კი გადარიცხული შემოსვალში 720 მ. განსაკუთრებულის დანიშნულების 46,878 მ. 37 კ., საქონლის საყიდლად შემოტანილი 996 მ., წვრილი გასავალი 37 მ. 50 კ., სამეურნეო იარაღების 3,338 მ., გაცემული და გადარიცხული გასული წლის მოგებისაგან და გადაწერილი წლის ბოლოს ხარჯების დასაფარავად 18,027 მ. 40 კ., საკრედ. დაწესებულებაში მიბარებული 42129 მ. 40 კ., შეძენილი საქონელი 144,290 მ. 55 კ., სამართველო ხარჯები 5963 მ. 58 კ., ქონება 3 მან. 50 კ., ნასესხებ ფულების სარგებელი 1885 მან. 90 კაპ. და სხვა და სხვა ხარჯები 10177 მ. 92 კ., კასაში 500 მ. 22 კ., სრულიად ბალანსი 331.477 მ. 57 კ.

მოხსენება იწვევს კამათს, კამათში მონაწილეობას ღებულობენ პ. დგებუაძე, სამ. კეკელია, ი. ნორაკიძე, რ. გამსახურდია, ბ. მიქაძე, ქ-ნი ოლია ხოფერიასი, ი. სალაყაია, ა. ღვამბერია, ევტ. როგავა და სხვანი. კითხულობენ, რათ არის ასე მცირე მოგება. თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა განმარტების შემდეგ კრება წლიურ ანგარიშს ამტკიცებს უცვლელად თანახმად სარევიზიო კომისიის მოხსენებისა.

შემდეგ გამგეობის წევრი ვლ. ხოფერია აკეთებს მოხსენებას საზოგადოების მოქმედების შესახებ. მომხსენებელი, როგორც სამაზრო საერობო აგრონომი, ფართეთ შეეხო მეურნეობის მდგომარეობას მაზრაში, დაასურათა ყველა ის ცუდი პირობები, რომელშიაც ჩაყენებულია მეურნეობა, უჩვენა საერთოთ ზომებიც, რომელიც საჭიროა ამ სფეროში. მასთან რა გააკეთა საზოგადოებამ ხორბლის თესლეულობის, მანქანების და შაბიამან-გოგირდის და სხვა მეურნეობის საჭიროებისათვის საგნების მიწოდებით, ციფრებით ხელში მან დაამტკიცა თუ რა დიდი ეკონომია გასწია მიწის მუშამ საზოგადოებისაგან ხსენებულ საქონლის შეძენით. მომხსენებელის გამოანგარიშებით ეს შეადგენს არა ნაკლებ ნახევარი მილიონისა.

კრება გადავიდა მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვაზე. ამ საკითხში კრება არ ეთანხმება გამგეობის მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ ნავარაუდევ ხარჯებს, ვინაიდან ეს ხარჯები მიაჩნია მეტად მცირედ შედარებით ცხოვრების სიძვირესთან, ამიტომ კრება უმატებს ჯამაგირებს ნოქრებს, ბუღალტერს და სხვა. საბოლოოდ იქმნა დამტკიცებული შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა. პროცენტები სესხისთვის ნავარაუდევია 5000 მ. წიგნები, ვექსილები, ბლანკები და სხვა 1000 მ. ბუღალტერს 3600 მ. ბინის ქირა და საწყობის 2000 მან., ხაზინადრის ჯამაგირი 1200 მ., გამგეს 6000 მ., ნოქარს 3600 მ. მოლარეს 2 400 მ. ინსტრუქტორს 6000 მ., მოულოდნელი ხარჯები 5000 მ. სრულიად 35800 მ. შემდეგ კრება ავალებს გამგეობას მიმართოს მთავრობას თხოვნით დახმარებისათვის და გამოსთქვამს სურვილს მოეწყოს საზოგადოებასთან მუზეუმი, სადაც მოგროვილი იქნება, სამეურნეო ნაწარმოების სამაგალითო ნიმუშები, გაუმჯობესებული ჯიშის მცენარეობა და სხვა. მომავალში სკოლის ასაშენებლათ მიწის შეძენა კრებამ აუცილებელ საჭიროებათ ჩასთვალა და დაავალა გამგეობას მიიღოს ყოველი ზომები საწევრო გადასახადი კრებამ დასტოვა იგივე. რაც იყო, თითო მანეთი. კრებამ დაადგინა წლიური მოგება მიემატოს საწარმოო თანხას უკლებლათ. მიწვეულ იქმნას აგრეთვე ინსტრუქტორი საზოგადოებისთვის, რომლის ვალდებულება იქნება დაეხმაროს საზოგადოების წევრთ და ხალხსაც სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში რადგან მთავრობის ინსტრუქტორები ნაკლებათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სხვა და სხვა მიზეზებით.

დასასრულ კრებამ გამგეობის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა დასტოვა ძველი.

მდივანი გ. თოფურიძე.

## საერობო არჩევნების გარშემო.

შორაპნის მაზრაში საერობო არჩევნებს ვერ ჩაუვლია წესიერად, მაზრა დაყოფილი ყოფილი სამ საარჩევნო უბნად: 1) ზესტაფონის, 2) ბელაგორის და 3) საჩხერის...

1 სექტემბერს არჩევნები მომხდარა პირველ ორ უბანში, სადაც უწესოებას ჰქონია ადგილი. ვიღაცა თურმე არც კი აგდებიებდა ყუთში კენჭს, რის გამოც არჩევნები გაუქმებულა; ახალი არჩევნები 15 სექტემბრისათვის დაუნიშნავთ.

ზესტაფონშიაც არ შემდგარა ჯერ არჩევნები.

საჩხერეში არჩევნები 8 სექტემბრისათვისაა დანიშნული.

—

ტფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერ-კავკასიის ერობის დაწესებულებათა დროებ. დადგენ. მე-77 მუხლ. ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მანგლისის ოლქიდან შემოვიდა შემდეგი შეთანხმებული ს.-დ. ს.-ფ. სია კანდიდატთა: 1) ქარცივაძე მიხეილ სოლომონის ძე, 2) გოგიშვილი, ალექსი გრიგორის ძე, 3) სტურუა ისიდორე ივანეს ძე, 4) თეზელაშვილი ადამ, 5) ბორისოვი—ბერიძე პეტრე ივანეს ძე, 6) პაპაიანცი დავით გრიგორის ძე, 7) შამანოვსკი, ვიქტორ ბოლტაზარის ძე, 8) ტიმოფეევი, არქიფო ნიკოლოზის ძე, 9) კეკელიძე ანდრო.

## უცხოეთი.

ბუდაპეშტში მრავალ ადგილას მუშაობა შესწყდა. გაზეთები აღარ გამოდის. ყოველ დღე იბეჭდება მფრინავი ფურცლები, რომლითაც მუშებს იწვევენ გაფიცვის გასაგრძელებლათ, რადგან მთავრობის დღეები უკვე დათვლილია. ვერკლემ განაცხადა, რომ მთავრობა ნებას არ მისცემს საქარხნო კომიტეტებს, ან სხვა ორგანიზაციებს მთავრობის ფუნქციები აღასრულოსო. მუშათა მოთხოვნის შემდეგ, რომ ქარხნებიდან ჟანდარმერია გაეყვანათ, იქითკენ ჯარები გაგზავნეს.

—

ინგლისი.

ომის ოთხი წლის თავის გამო ინგლისის ყოფილი მინისტრ-სოციალისტმა გენდერსონმა დეკლარაცია გამოუშვა, სადაც სხვათა შორის ამბობს, რომ ომის ახალი წლის მიზანია მალე დამთავრდეს ომი და ყველასათვის სასურველი ზავი ჩამოვარდეს, თან აღნიშნავს, რომ ინგლისიის პოლიტიკის შეცდომის გამო გაგრძელდა ეს ომიო.

—

უკრაინა.

პურის რეკვიზიციის ნიადაგზე სასტიკი ბრძოლა დაიწყო გლეხებსა და გვარდიელებს შორის. სოფ. დიჩინკის გლეხებმა განგაში დაჰკრეს, მოგროვდა 5,000 ფრონტზე ნამყოფი გლეხი თოფებითა და ხელის სასროლ ყუმბარებით შეიარაღებული, გარს შემოერტყენ 250 გვარდიელს, რომელთაც ორი პულემიოტი ჰქონდათ და ნახევარი საათის განმავლობაში სულ ერთიან ამოჟლიტეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის მდგომარეობა.

რუსეთის ცხოვრების საერთო სურათს განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. გარეგნულად თითქო წესრიგი არის დაცული, ყოველ შემთხვევაში ეხლა უფრო უკეთესი წესია ვიდრე გასული წლის დეკემბერში იყო. რკინის გზათა მდგომარეობა გაუმჯობესდა, ქუჩებზე მძარცველთა თავდასხმამ იკლო და სხვ. ბალშევიკური მთავრობის უმთავრესი ძალა ლატიშებისაგან შესდგება. ჩვეულებრივ უმოქმედობას იჩენს ინტელიგენცია, მას მხოლოდ აღმაფრთოვანებელ სიტყვის გაგონების დროს შეუძ-

ლიან გამოიტანოს რაიმე რეზოლიუცია, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარებისთვის არც ძალა და არც ენერგია ჰყოფნის. მათი ზოგი ნაწილი ბოლშევიკებთან მუშაობს, ზოგიც სპეკულიაციას აწარმოებს. ძალიან ხშირად კარგი ოჯახის გვარის შვილი ღამით მძარცველთა ბრბოს ბელადობს და სძარცვავს იმათ, ვისაც კიდევ შერჩენია რაიმე დოვლათი. ლენინის დეკრეტით, სიკვდილის დასჯის შიშით აკრძალულია საბირჟო რაიმე გარიგება-დალალობა. მაგრამ მაინც საბირჟო ბიულეტენებს ყოველ დღე შეხვდებათ სხვა და სხვა გაზეთებში. ასეთი დალალობა და გარიგება, თვით ბანკების დარბაზებშიაც კი ხდება, რომელსაც სათავეში თვით საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები უდგანან. ეს კიდევ არაფერია, ხან და ხან თავბრუდამხვევი დალალობა და მორიგება ხდება, მაგალითად კავკასიის მამულს პეტროგრადში ჰყიდიან მილიონის სათასურით და ნაღდ ფულზე. მოტაცებულსა და მოპარულს ხელოვნების ნივთებს ამერიკელები და შვედელები ყიდულობენ მუზეუმებისათვის და გამყიდველები სრულიად დაუფარავად ლაპარაკობენ ამის შესახებ. ერთი სიტყვით ამ „თავისუფლებისა“ და „თანასწორობის“ მხარეში დომხალივით არის ერთმანეთში არეული სიმშილი, აუტანელი სიძვირე, ფუფუნება, გართობა, გარყვნილება, პატიოსნება და სისაძაგლე. („ბერლ. ცეიტ.“)

—

პეტროგრადული „ორიენტაციები“.

პეტროგრადში ეხლა ყოველივე ადამიანი ერთ და იმავე დროს სხვა და სხვა „ორიენტაციის“ მხრით ისინჯება. მაგალითად გარეგნულ შეხედულებით ასე წარმოიდგინება ორი სხვა და სხვანაირი „ორიენტაცია“, რამდენათაც უფრო კარგი ჩაცმულია და მაძღრის შეხედულება აქვს მით უფრო „ბოლშევიკური“ ორიენტაციისაა, რამდენათაც ჩამოგლეჯილია და მშიერის შეხედულებისაა, მით უფრო „ბურჟუაზიული“ ორიენტაციისა.

—

რუსეთის მომავალი.

რუსეთის მომავალი სქელი ბურუსით არის მოცული.

იქ არსებული საზოგადოებრივი ძალები ისე აირ-დაირია, სამოქალაქო ომის მეოხებით პოლიტიკური პარტიები ისე დასუსტდენ, რომ შეუძლებელი ხდება ახლო მომავალში პოლიტიკურმა თუ სახელმწიფოებრივმა წყობილებამ მტკიცე და გარკვეული ფორმა მიიღოს.

ომმა და რევოლიუციამ, ბოლშევიკურმა მოძრაობამ და წარმოუდგენელმა ანარქიამ ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობა ისე შეარყია, რომ ძნელი წარმოსადგენია—რომელი მიმდინარეობა განმტკიცდება რუსეთში.

ერთი კი აშკარა: აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებული რევოლიუცია, რომლის მამოძრავებელ ძალას უმთავრესად გლეხობა შეადგენს, ვერ დაამყარებს ვერც ბოლშევიკურ სოციალიზმს და ვერც მონარქიულ წყობილებას. („ერთ.“).

## გამოსადეგი ცნობები

### სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

## განცხადებები


ექიმი დოქტორი მედიცინისა

**ვ. ნ. აქსელოს**

ღებულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათმყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, საღამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები“ № 3. 6—6

თბილისის

ბოტანიკურ ბაღში

ამ წლის 31 აგვისტოდან იყიდება საოთახო და საორანჟერეო მცენარეები დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, 20 სექტემბრამდე. შესავალი მაიდანის კარებიდან. 2-2

8 კლ. სრულ. უფლებიანი გიმნაზია. ქალთა და ვაჟთა

**ე. ს. გუდკოვისა.**

თხოვნები მიიღება: საანბნო, უნცროს და უფროს განყოფილებებში და აგრეთვე I, II, III, IV და V კლას. განმეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 15 ენკენისთვიდან, სწავლა განახლდება 20 ენკენისთვიდან ახალი სტილით. მოწაფეთა რიცხვი განსაზღრულია თვითეულ კლასში. თხოვნის მოტანა და დაკითხვა შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათ. გრიბოედოვის ქუჩა № 4.


ქ. გორის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე დაეძებს ყოფილ ჯარის-კაცთ 1) ეფრემა არტემის ძე კოზინს და 2) კარპ ზაურაჟნის, რომლებსაც ჰბრალდებათ სოფ. კასპში ქურდობა.

ამიტომ ყველა მოქალაქე მოვალეა, თუ მან იცის სად ჰცხოვრობენ აღნიშნული პირები, შეატყობინოს გორის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს.

კოზინის და ზაურაჟნის წლოვანება და ნიშნები საქმეში არ მოიპოვება.

15-ს ამა ეკენისთვეს (ახალი სტილით) თერთმეტ საათზედ დილით, დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის სასტუმროების და სხვათა პატრონთა ურთიერთ დამხმარე ხელის საზოგადოების წევრთა. განსახილველია სხვა და სხვა შინაური საქმეების.

კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს და შესდგება გამგეობის ბიუროში თეატრის ქუჩა № 4.

თავმჯდომარე გამგეობისა ს. გოგიბერიძე.
მდივანი გამგეობისა ი. რაზმაძე.

ბ. ლობაჩევსკი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სახელმწიფო ბანკში შეტანილ ფულს ბარით № 47754 და 48665 რომელნიც გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს.
699 3—1

არშაკ ივანეს ძე ტატიშვილი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სადგურზე: 1. რკინის გზის უფროსისგან მოცემული მოწმობა, 2. თოფის ნებართვის მოწმობა, 3. სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, 4. რკინის გზის უფასო ბილეთი, რომლებიც უნდა ჩაითვალოს გაბათილებულად.
695 3—1

თანახმად 951 მუხ. სამ. დებულ. საკრებულოსი საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო ამით აცხადებს, რომ ეძებენ ჯარის კაცს დუშეთის მაზრის სოფელ ახალ დაბის მცხოვრებ ნიკოლოზ ივანეს ძე პატიშვილს, რომლის ნიშნებიც შემდეგია: დაბალი ტანისა, პატარა შავი ულვაშები, შეხედულობით 20 წლისა, სახე შავგვრემანი, განსაკუთრებითი ნიშნები არა აქვს. ყველას ვინც იცის სად ცხოვრობს პატიშვილი, ვალდებულია განაცხადოს სასამართლოში.
№ 393. 3—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წლის 9 აგვ. ყადაღა აქვს დადებილი ხრისტო სტავრისძე კონსტანტინიდის უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში, კონდუკტორის ქუჩაზე, № 2, ზომით 160, 8 ოთხკ. საჟ. ყადაღა დადებულია იმის გამო, რომ ის არ უხდის ვალს 5800 მან. ქუთაისის სააზნაურო საადგილ მამულო ბანკს. ეს ყადაღა აღნიშნულია სოხუმის ოლქის 1918 წ. ყადაღათა კრებულში № 29.

ტფილისის სასამართლო პალატის ნაფიც ვექილთა საბჭოს დადგენილებით 1918 წ. 13 იანვ. დასახელებულ პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა რიცხვში მიღებული ირაკლი გაბრიელის ძე კონჩუხიძე, პალატის დეპარტამენტთა საერთო კრების დადგენილებით 1918 წ. 3 სექტემბრიდან, შეტანილია ამავე პალატის ნაფიც ვექილთა სიაში. 3—1

ორი ახალგაზდა ენერგიული კომპანიონი აწყობს არა რთულს, მაგრამ შემოსავლიან საქმეს-პირველ საჭიროებათა საგნების დამზადებას. ორგანიზაციას და საქმის დაყენებას თავის თავზე ღებულობენ. საჭიროა ინტელიგენტი კომპანიონი 15,000 მანეთით, შეიძლება მეტიც. სასურველია აგრეთვე მონაწილეობის მიღება პირადი შრომით. თანხისთვის ამხანაგს წმინდა მოგების მესამედი ნაწილი მიეცემა. არა სერიოზული წინადადებით გთხოვთ ნუ შეგვაწუხებთ. მოსალაპარაკებლათ ადრესი უნდა დასტოვოთ მიხეილის პროსპ. № 146-"ალფა და ომეგას" მაღაზიაში.

5 სექტემბერს დავკარგე ტყავის საფულე: რომელშიაც იყო ფულად სამი მანეთი და ათი შაური. პირადობის მოწმობა მოცემული მანგლისის პოლკის უფროსისაგან და აგრეთვე პარტიული მოწმობა. ეს მოწმობები ჩემთვის ძლიერ საჭიროა და მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით:

ფომინის ქ. სახლი № 5. პორ. ხიტარიშ.
№ 692. 3—2.


## გაიხსნა

**საუკეთესო კახური ღვინის საწყობი**




განყოფილებანი: 1) ჩერქეზიშვილის ქ., № 75. 2) მიხეილის ქ., № 116 და 3) წყნეთის, ქ. № 26. 6—5


კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ იქ 3 სექტემბერს შევიდა თხოვნა დარია ნიკოლოზის ასულის პოპოვისა, რომელიც ცხოვრობს თუმანოვის ქუჩაზე № 24, ქ. ტფილისში, მის ქმართან, მიხეილ ნიკოლოზის ძე პოპოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ-დაწერილი არიან დიდუბის ეკლესიაში 1906 წ. მთხოვნელის განცხადებით მიხეილ პოპოვი აღარა სჩანს 1911 წლიდან.

ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად არის პოპოვი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

ვასილ ნიკოლოზის ძე დაუშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული შქმარის სასოფლო კომისრისაგან 25 ივნისს. № 85, მეტრიკული მოწმობა, მიღებული თბილისის სინოდალურ კონტორიდან, აზოვ-დონის და ვოლგო-კამის ბანკების ჩეკები №№ 2889 და 86314. 3—3.

დავკარგე ტყავის საფულე 15,000 მანეთით, პასპორტი და სხვა ჩემთვის საჭირო საბუთები. ვსთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს პასპორტი და საბუთები შემდეგი მისამართი: კათოლიკების ქუჩა № 4 სტეფანე ჩილინგარაშვილი—ვარდიძე.
№ 687. 3—3.


## ქართული შრიფტი.

რუსულ ასოებიან საბეჭდავ მანქანებს ვახალისებ ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გერმანი, სახლის ქ. № 2. თბ. 10—1.


დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 77177. 2—2.

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ მორიგი საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ აგვისტოს №№ 28, 29 და 30, შესდგა ორშაბათს 30 სექტემბერს 1918 წ. დღის 12 საათზე გამგეობის სადგომში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩა, № 73. ამ კრებაზე დასასწრებლად აქციებს ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახავად ან გირაოდ და არ იქნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 11 ს. დღის 2 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად შესრულდება ორშაბათს 16 ენკენ. 1918 წ. დღის 2 ს.


სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით

## პირველი ქართული ბუჰგალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის, წლოვანობის განურჩევლად.

**ლ. გ. საათაშვილისა**

ორმაგი ბუჰგალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა დაიწყება სექტემბრის 5 ს. პირობის გაგება შეიძლება დილის 4—12 ს., საღამოთი 5—7 ს. მისამართი: თბილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილ. უბანი). 2—2.


## განცხადება

მე-5 ქართულ პოლკში, საპიორის ქუჩაზე იყიდება ძველი ფურგონები და მათი მასალები. შეჯიბრება დანიშნულია ამა სექტემბრის 9-ს 10-ნახევარ საათზე. დაწვრილებით სამეურნეო განყოფილების უფროსთან პოლკში. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12—14 საათამდე არამწყობრ ასეულის უფროსით.

პოლკოვნიკი ბ ა ლ უ ე ვ ი. სამეურნეო ნაწილის უფროსი კნ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე.
4—686—2 საქმის მწარმოებელი ა. ს ა ხ ა ნ ს კ ი.


ქართული წიგნთა სავაჭრო

## 1878 წ. „განათლება“ 1918 წ.

**გრიგოლ ჩარკვიანისა.**

ტფილისი: ნაძალადევი ქალ. 11 ნაწ. ხუდადაშვილის ქ. № 14 უეფელის აფთიაქის ახლოს.
№ 696. 3—1

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(25 წლის ნაშრომი)

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მ ე ო რ ე შევსებულ-შესწორებული გ ა მ ო ც ე მ ა, აწყობილია უშპონოდ (მჭიდროდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფ ა ს ი: ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ თ ა თ ვ ი ს მშვენიერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაწერა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.
5-5


მთავრობის სტამბა.

რედაქტორი ვ. დ. საყვარელიძე.